

N.B. 20 30603 II Jz. (16 Seiten mit 2 Zeichnungen)

030603

16 Seiten mit 2 Zeichnungen
G. Lohr Ph. Körber 58
1884

No IV, 036030

თბილისი.

ექთომე სელაძის სტამბა.

1884

ଓଡ଼ିଆରୁଦ୍ଧି:

I.	ლელია (ოომანი) უორუ. ზანდისა თარგ. გნ. 6. ერისთავისაგან	5
II.	ასეა და რა ვქნა? (ლექსი) ჭ-ისი	56
III.	საქართველოს მეფის-ძე რადამისტ — მეფე სომხე- თისა და ტრაგედია კრებილიონისა	58
IV.	პედაგოგიური მოსაზრებანი («ნობათი» № № II და III) გ. ნასიძესა	68
V.	ბართველთა შველი ცხოვრების კვალი წმ. ქვე- ყანაში და სინაის მთაზე (სიტყვა თქმული პრო- ჭესორის ა. ა. ცაგარელის მიერ პალესტინის სა- ზოგადოების სხდომაზე 30 ღებ. 1883 წ.. . .	91
VI	შინაური მიმოხილვის მაგიერი	106
VII.	დამატება: მასალა ისტორიისათვის. შემოკლე- ბითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებოა თა- ვიდთა და აზნაურთა გვაცებისა.	
VIII	ზანუხალება (ყდაზედ).	

ამ ნომრისთვის აწყობილი და სრულდად დამზადებული
პლეიმ მ. ფაზულისა, სახელად «პოეტი და ჩვენება» კურ
დაბეჭდა ქსლა და კურც შემდეგ დაბეჭდება რედ.

ՈՅԵՐՈՎ

ԱՅՏԼՈՒԹՈՅ Ը ՍԱԼՈՒՄԱՅՇԽՈ
ԺՇԽՆԵԼՈ

6043

Վելութագո մերց

№ IV



ԹՑՈՂՈՏ

Այցոմյ Եյլուսն Տպաթեատրում, Հռոմուս-Ֆելոյոյուս յշիաթ,
1884



Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Апрѣля 1884 г.

ლ ე ლ ი ა

რომანი

ეორქ-ზანდისა.

მითხარით ლელიავ, რა ხართ თქვენ?.. რად არის ასეთი მტანჭავი თქვენი სიყვარული? რადა სართ იღუმალებით საკსენი და არა გევხართ სხვას? მაგ სილამაზესთან, მაგ მიმზიდველობასთან, რისთვის გვიქადაგვშთ ურწმუნოებას, უარ-უოფის მოძღვრებას და უარ-ჰუოფთ თვით სიყვარულსაც?

მე მეშინიან თქვენი, ლელია. თქვენ თითქოს გართობთ ჩემი მწუხარება, ჩემი აღმოფონება. შემიძლეთ!

გუშინ, როდესაც ჩვენ მთა-მთა მოკდიოდით, მეჩვენეთ ამალებული და მიუწდომელი, ისე რომ მსურდა დამეჩოქნა, და მეკოცნა თქვენის ნაფესურისათვის. მაგრამ როდესაც ზარის დარღვის ხმაზე გთხოვეთ შეკსულიყავით ეკლესიაში, საღამოს ღორცვის მოსასმენელად—თქვენ შეიქმუხნეთ წარბები და გამომუევით გულ-გრილის ლიმილით და ზიზღით. რატომ არ მოიხარეთ მუხლი სხვებსავით და არ იღოცეთ? რისთვის გძულთ ჩენი სარწმუნოების წესი? ნუ თუ არა გწამთ თვით ღმერთიც? იმისთანა მსარეს ხომ არ დაბადებულსართ, სადაც თაუკანს სცემენ ბოროტ სულსა?

ის წმინდა აღაგი, აღსაკე სურნელოვნებით და მელოდიის ხმები სრულიად იშურობდა ჩემ ასებას. როდესაც იმ მშენებელმა შევად მოსილმა ირლანდიის მღვდელმა, თავის გრძელ ხავერდის შესამოსილით წენარად ჩამოსდგა რამდენიმე ნაბიჭი საკურთხევლიდან, და წარმოასთვა მაღალის და საგძნობელის ხმით. სიტუა: Adoremus!—მე უნებურად დაგეშვი მუხლზე და დავისარე თავი.

მაგრამ თქვენ, მსოლოდ იქვენ იდეგით ფეხზე პირქნი დამსობილ ხალხში და ცივად უცხეროდით მღვდელსაც და ზიარებასაც, არად იმოქმედა თქვენზედ სამდროო სიტუაცია! უნდა კი გამოკსტუდე, რომ არასოდეს არ მინასევსათ ისე მშენიერი, როგორც იმ წამს: თქვენ იყვაით ფერ-მკრთალი, როგორც მარმარილის ნაგეთი და თვალები მოჭურუსებულის ცეცლით გიბრწეინვიდათ! რაზედ ფიქრობდით იმ დროს თქვენ?

იმ წამს, როდესაც მღვდელმა ჩვენ თავზე აღამაღლა სიმკოლო ცხოვნებისა და დაგინახათ თქვენ თავის წინაშე. მე მეჩვენა, რომ იქვენს შეურეულებელ შესედულობას იმისმა მრისასე შესოხედვამ გერ გაუმღლო. შევნიშნე, რომ ფერმა გადაჭრა, და იმის სელში შეთრთოლდა ბარძიმ-ივემსეუმი და სმა წაერთვა. ეს ჩემის გონიერის ოცნება იყო, თუ მართლა მღვთის მსასური მრისსანებისაგან გააურეოდა, როდესაც დაინასა თქვენში აგრძით გულ-გრილობა სააწმენოებისადმი?...

* *

რაში გეკითხებათ უკელა ეს ჩემო პოეტი? რად გინდათ იცოდეთ, რომელ მსარეს დავბადებულებარ? სულ ერთი არ არის? განა თქვენ რამე მნიშვნელობას აძლევთ იმას, ჩვენ დაბადების უამს მზე პირ-და-პირ დაგვცემროდა, თუ აღმაცრივ? საერთოთ,

մերության մակար դաշտավայրակա թիւիս; և օսյու ցո-
զա, մշտակա և զա զովու! դամույշու առ յարուս ցեղազամա
սանդումլու և զամուսացնութիւն առ ուղարկած. մյ և տիպեն տա-
նասվառագ սյութես և առ սարդու զարտ, տանասվառագ հարվա-
րան ռազաց ծագնույթա, ռամլուս և ան առ յարուս առ զո-
բութ—ամա զա իջեն յարուսներու զատանեմեծու. տիպեն զազարա
ռամ մյ առ զալուցութիւն? առ անիւ յանդա զալուցու? առ զատա-
զա ռայրուս? մյ զարագու զարաւ մարմումս, ու առ օսյու իջեմ
տազա.

տիպեն մյուտսազտ, ծարութ և սյու եռմ առ զարյամ տայպանիս?
մամ նյալան հեմացազեծու մասավայընու զատեզեծու, սրյունու; և
ցուցութիւնու իջեմ զամուցնուս, ամուստզու, ռամ իջեմ առ առս-
ռա զամուսացնութիւն.



Հայուս, ու մյ առ մայզարդու տիպեն անունուսա, ու մյ
առ զարմենածու, ռամ տիպեն զայտզնու մտացա իջեմու առյա-
ծոծու, մյ զար զայտզնու տիպեն զամուցութիւն.

մարտրու մյ առ զար տիպեն վիճակ հայարձնութու և աչունի-
նյալու. զանց տիպեն զայտզնու, առ յարուս առ ոցուս ռազար
մոցպէնին: զանցուսեցնյուն ու զանցութունին, մացութ ու
ֆազմարժուն. մացամ օմատզուս յս և ան պահցըն և սո-
ցութունուս և սոցարանուս և ան պահցըն. մեռաւ մյ մայզա յազեցա
զամուցութ, առ և ան պահցըն, օմուրու ռամ տիպեն իջ-
ութարութ իջեմ և սոցարանու և սոցարանութ.

մուտսարատ, մյուցութանու ու առ մյուզարատ տիպեն զաբո?
մյ անցու առ զաբո—ովմուսաց զա մյունու—զակնեցու զաքա.

զանց առուս օս մռասեսնյ, լազարումութ զաբո, ռամյութ.

გამოცხადდება ხოლმე უკელის, სადაც კი თქვენა ხართ? რა უნდა მას თქვენგან? დიდი სნის მცნობია თქვენი? მე არ შემიძლიან დამშვიდებული კუთ, ორდესაც მას კხედამ; ის რომ მოგიახლოვდება, მე ურუოლა მომდის. თქვენ ამბობთ ეგ შეუწესარებელი პოეტია: — მართალია იმის განიერს შებლს გენიას ბეჭედი აზის, მაგრამ იმაში არ იპოვება ის აღტაცება, ის აღიყრთოვანება სულისა, ორმეტიც პოეტს განუშორებელად აქვს მიმაღლებული. ეგ უფრო საიჭიოდან გამოსულს ჭიათ და მე გვიანებ მაგის გვერდო ხლება გიკარგამთ თქვენ უკანასკნელ ნაპერწკალს გაცია სიუკარულისას.

მე არა მაქვა, უფლება კერძიანობდე თქვენზედ, ამისთვის აღარას გატუვით იმზედ რასაც კგრძონობ, ორდესაც კხედამ მაგ კაცს თქვენ გვერდით. თუ გეუბნება, რომ უკარხართ მას — სტუუი! მაგას აღარ შეუძლიან სიუკარული, მაგაში ადარა სჩანს არც სიცოცხლე, არც ცრუფიალება! ნერა მართლა კინც თვითონ კერას გრძნობს, კერას აგრძნობინებს სსკასაც? მას აქეთ რაც თქვენ შემიუვარდით, ეს საგანი შეადგენს სანუკველს საგანს; ჩემთვის. მე არ შემიძლიან დაკრწმუნდე, ორმ უგრძნობელს ასებას შეეძლოს თავის გარშემო მოჰვინოს მაგოდენი სიუკარული და პოეზია! თქვენი გულიც რომ აგრე მკვდარი იყოს, ორგორც მაგ კაცისაა, მაშინ უთუოდ თქვენზედაც ის გრძნობა მექნებოდა, რაც იმ კაცზე, ესე იგი დაშორებისა კიცი, რომ თქვენ არ ეთანხმებით ჩემს შეხედულებას; პირ-იქით, თქვენ თითქოს გიზიდამთ იმ გაცთან დაუძმალავი სიმპატია. მე გამჩნევთ მზგავსებას კირძნობაში და თვით სასის გამოხატულებაშიც, თქვენი მმა ხომ არ არის ეგა, დელიავ? თუ ასეა, მანც ჩემზე მეტათ თქვენი სიუკარული არ შეეძლება; მაშ მაგას რათ ენდობით ჩემზედ მეტად?

* * *

«მე ვუჩვენ თქვენი წიგნი იმ კაცს, ოომელსაც აქ უწოდებენ ტრენმორსა; — ნამდვილი სახელი კი ამ კაცისა მსოფლოდ მე ვიცი. თუმცა თქმის გვონიათ, ოომ ამისი გული მჭკდარია გრძნობისათვის, მაგრამ თქვენს მწესარებას მან თანაუგრძნოდა ნება მომცა გამოვსთქვა თქვენთან ამის ცხოვრების საიდუმლო. მაში ნუღარ იტყვით, ოომ მე არ გენდობოდეთ თქვენ, ამისთვის ოომ ამისთანა საიდუმლოს მონდობა — სახუმარი არ არის.

დამღებავ პირობათა მორის შეუდგა ტრენმორი ცხოვრებას, ესე იგი იმისთანა დროს, ოომელსაც მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა შესაშუალებლად სთვლის. ეს დაბადა სიმდიდრესა და განცხრობაში, ოგორიშიაც ზოგიერთი ბატონის-შეილი არ იძალება ხოლმე. მამა ამისი იურ არშიყი ერთის თავ-ქარიანის დედოფლისა, მისი დედა ემსახურებოდა თავის მეტოქეს, ოომელსაც სტუებდა. ფულებს და ოადგან უგენა ეს საზიზღრობა და სიმდაბლე ამოქთურებოდა დიდს ტიტულს, საზოგადოება კი არა ჰქიცხსავდა, კიდეც შენატროდა მათ.

ტრენმორმა ადრე და დაუბრკოლებლად დაიწირა თავის ადგილი დიდს საზოგადოებაში; განუკითარებელი და გაბრიუებული მისი სული საკე იურ იმ დროიდანვე შთანერგილი სხვა-და-სხვა უზრომო მედიდური შეხედულობით. არა კითარი ცოდნა არ მისცეს მას ბოროტისა და გეთალის გასარჩევად. ასწავლეს მხოლოდ ფანტკა ფულებისა უსაგნო. მედიდურობაზედ. შთანერგეს უოკელი უალბი მოთხოვნილება, ოომელიც აუბედურებს მდიდრებს. მაგრამ თვით ამისთანა აღზრდასაც არ შეეძლო შეცვალა მისი ბუნებითი თვისება და კერ დასძალა გარევნაშ სრულიად ამის ძალოვანი ბუნება. ამბარტკავნობის გრძნო-

ბა არის ძალის გამოჩენა, და კი ძალა აღშევოთდა ამის ცხოვ-
რების მდგომარეობით. ტრემორმა კერ შეითვისა მონების ხილ-
გა, მხოლოდ იმისთვის, რომ სპაგდა უკელა დამცირება. თუმ-
ცა კერ არჩევდა ბოროტისა და კეთილს, მაინც ისსტიგტიუ-
რად არიდებდა თავს სიცროვეს და მსდალობას. მას შეეძლო ად-
გილად ესწავლა შზათ ნაშოვნა სიძღვის ფაზტვა, მაგრამ
ჟურც კი წარმოედგინა თუ შეიძლებოდა ხელახლად შეგროვება
ქრისტიან უწმინდეულის წყაროებიდგან.

ტრემორი დაიბადა დიდი და ძლიერი, როგორც უოკე-
ლი ძალა, გაჩენილი საბრძოლებელად. მშობლები და გამზრდე-
ლები თავის გავლენით ცდილობდნენ დაემხოთ მასში ზნეობი-
თი მსარე და შთაეგონებინათ, რომ უოკელივე საგანი ცხოვრე-
ბისა მდგომარეობს ნივთიერ კეთილცხოვრებაში. გაუგითარეს
ინსტიგტი დაუდგრომელი გარეულის მხეცისა; ამის გარდა გე-
ლარა შეიძლეს-რა, იმისთვის, რომ თვით პირუტყვული ბუნე-
ბაც კი გეთილშობილური იყო ამ ძლიერს ქმნილებაში. მოკარ-
ბებული განცხრომა არ ასუსტებდა ტრემორსა, არამედ უფრო
და უფრო უძლიერებდა კნებას. მხეცური გრძნობების დაკმაყო-
ფილების შემდეგ, მოიცვავდა მას გაუმაძღარი წუურვილი უფ-
რო უწმინდესის სისარულისა, რომლის სახელწოდება არც კი
იცოდა. უოკელ განცხსრომის შემდეგ, ის გრძნობდა სურვილის
დაუკმაყოფილობით მრისხანებას, და ამ მრისხანებას მოჰკებოდა
თან უზომო სუვა. თოთოხაც კერ მიხვედრილი მიზეზს,
რისთვის მოსდიოდა თვალთ ცრემლები ლხინისა და ჭერების
დროს ევითხებოდა თავს თავს, რისგან არის, რომ არც ერთი
ჩემი სურვილი არ მაკმაყოფილებს სრულიად, როდესაც ასეთი
ძალოვანი კარ, გამბედავი და უმაწვილიო, რატომ არც ერთი

თავ-მოსაწონი გამარჯვება არ შეავსებს ჩემს ფუქსავატ ცხოვ-
რებასაღ?

სრულიად კერ მისვდა, რა უნდა მას და ან რა შეუძლიან
და ამიტომ წარმოდგენილი ჭირნდა კითომ ის შეუტორ ბედის
საწერელს და ცრუ-მორწმუნეს სკუროდა, რომ ბედი და არა
თითონ, აგებს იმისთვის მომავალში მასეს.

ამის ცხოვრებას შეადგენდა: ჯირითი, მეჯლიში, ნადი-
ობა, ნამუს გაყიდულ ქალთა საზოგადოება და დაუწერომელი
უვირილი და ღრიანცელი. ამის უძაწვილ სახეს კერ ბანალი
არც კი გამოსხმოდა შირზედ, რომ ამ გვარი გართობა მოს-
წყინდა. ქეთია და სიმღერას ველარ მოჟუკდა იგი გრძნო-
ბაში, არც ერთი გვარი ღვინო არ ამხიარულებდა ამას; ირ-
მებზე ნადიობა არ აკმაყოფილებდა იმის სასტიკს ინსტერებს,
ტრენმორმა დაანება თავი ძალების ცემას და მიწურ სელი
საყიარლების ცემას, რადგან რაღაც ასალს კმაყოფილების ჭი-
ებდა იმათ ცრემლებსა და უვირილში. რაოდენათაც პირუტყუ-
ლი თვისება დასძალამდა, იმის და კვალად დონე ტეინისა უმ-
ცირდებოდა და ქრებოდა, უქმი ჰქეუა ებრძოდა ბუნებით ძალას
და კერ პოულობდა გზა და გრალს გამოსასკლელად; გული
ეტან ჯებოდა და უგვნესოდა სევდით. ვის შეიუგარებდა ტრენ-
მორი? მას გარს ეხვია სულ-მდაბალნი და სკინიდის გამუიღ-
ველნი არსებანი, აღარ სკუროდა იმას, რომ ჰქეუასაზედ იპო-
ვებიან კარგი კაცები. ღარიბი სძულდა, რაღვან შთაგონებული
ჭირნდა, რომ სიღარიბე ჭიადავს შერს, სოლო ძალას მოკლე-
ბული შურიანობა ზიზღის ღირსად მისჩნდა. მუცნიერება სძულ-
და, არ ესმოდა თუ რა კეთილი ნაყოფი მოაქვს და რაში მდგო-
მარების იყრ. სწავლულნი ებრალებოდა; იმათ განწირულ ცხოვ-
რებას მასწერდა უღონობას ანუ სიღარიბეს და უქონლობას,

მაგრამ იმ სიმდიდრისადმი გატაცებულ თაყვანის-ცემის ქამს, უცებ განიღვიძა მასში სრულიად სხვა გრძნობამ; მდიდართა ცხოვრების სიმძღვარემ. მის გულში აღიძრა ძალიან სხვა-და-სხვა გვარი ბრძოლა, გაცოვებიძინ ანჩხლობდა იმათ გან-ცხრომის და სიმდიდრის ატმოსფერაზედ, რომელთ შორისაც თითონ სცხოვრებდა. ანტიკუვდა ბებელსა, სტებდა სარგებს, ფანჯრიდან ისროდა ფულებს და ჭუხის ტალახში რეგდა თავის საყვარლებს.

იმათ შორის იყო ერთი—სახელად მანტოვინა, რომელიც მან სხვას ამჯობინა იმისთვის, რომ ხანდისხან ამჩნევდა იმ დილიკებას, რასაც თვითონ ძვირიასად რაცხავდა: გულ-წრთვე-ლობას. ერთსელ ჭერიობის დროს მანტოვინას შემოჰკრა და იმანაც ამოაძრო ტრენმორისავე სანჯალი და მივარდა მოსაკლა-ვად. ეს მოქმედება მოეწონა ტრენმორსა. იმან იყიდება, რომ იმ ჭალში იპოვება ძალა, და ძლიერი გულის-თქმა. ამ ფიქრმა ასე ასიამოვნა, თთქმას ახალი ჭერიერება თვალ-წინ გარდაე-შალალ. პირველად იგრძნო სიმპატია საღი ადამიანის სულისა სხვა ადამიანისადმი, მაგრამ ამ გრძნობამ მხოლოდ ერთს წამს გასტანა... უსირცხვილო და უფერული დიაცის სიტუაციებმა მა-შინვე განაქარვეს მოსიბლვა და გაცოვებულმა ტრენმორმა მოგ-ლივა გულიდამ მარგალიტის უელსაბამი და გასრისა ფეხ-ჭებ. მანტოვინამ საბრაზოდ შეკვიცლა და გადმოუშვა ცრემლები. ამ მცირედება შემთხვევამ აღავსო საკე ფიალა სიანჩხლისა: დე-და-კაცმა არ იტირა, როდესაც მას სცემეს და ფუქსავატი ნივ-თის დაკარგვისათვის კი იბანებოდა მწარე ცრემლებით. ტრენ-მორს აღარ ახსოვდა თავის თავი, წამოავლო მმიმე ბროლის ლრაფინვას და დაჭრა რამდენჯერმე მანტოვინას, მან შეკუვა-რა და დაცა: ტრენმორმა კურც კი შენიშნა ესა. სტოლზედ

ორივ იდაუკ დაურდნობილი, უზროდ დაშტერებით უცმერდა
ჩასაწვავად მისულს სანთლებს, არ ესმოდა არც არეულობა,
არც შეშინებული მეგობრების უკირილი. ერთი საათის შემდეგ
ის მოედა გონსა, ადგა და სისხლის გუბეში ფეხი მოუსხლტა.
მანტოვინა კიდეც გაეტანათ და უკელანი გაჭრეულიუვნენ. ტრენ-
მორი წაიყანეს თავის სასახლიდან საპყრობილები, სადაც სრუ-
ლის გულ-გრილობით მოისმინა თავის სიახნესლის შედეგი.—
გინდოდათ მოკელა იმ დედა-კაცისა? ჰქითხა მსაჯულმა საქმის
გარჩევის დროს.—დიალ, მე მინდოდა იმის მოკელა, უპასუხს
მან.—სად არის თქვენი მოსახლედე? არცა მყავს და არც მინ-
და. წაუკითხეს გარდაწყვეტილება, გაუყარეს ბორეილი, რო-
მელსაც არც კი მიაქცია უურადლება. ბოლოს აიღო მაღლა
თავი და ცნობის მოუკარულობით გარდასხდა მის დამცირების
მაცჭერალ საზოგადოებას, მათ შორის დაინახა დედა-კაცი, რო-
მელიც არ უგუდგა მაშინ, როდესაც მას შეეხო მისი სატუსა-
ლო ტანთ-საცმელი. ოდესმე ამ ქალმა ტრენმორს შთააგონა
ამ გვარ გარუკნილ ცხოვრებისთვის აავ-დანებება და სხვა გვარ
ცხოვრების მისწრაფებათა მოძებნა. მაგრამ მაშინ ამ ქალმა ში-
შით და სიძულვილით შეაქცია მას ზურგი, თუმცა გაურგვევ-
ლად ჰერმენობდა ამ ქმნილების განუწვრთნელ დიდებას და მა-
ლას.

— თქვენ აქა ხართ, ლელიავ? მითხა იმან:—მანტოვინა
კი არ მოვადა! იმ პირუტევმა, რომელსაც მე კვებამდი და კუ-
ალერსებდი, გამგზავნა კატორგაში ერთი წამის გაცეცხლებისა
თვის, არც კი შეკროდე!—მანტოვინა მოკელა, კუპასუხე მე:—
თქვენ არ მოჰყალით?—ოჯ მართდა! სოქვა მან:—მე ხომ ისევ
სისხლიანი მაქტი, ფეხები. ამ სიტუაციზე მეხ-ხაკრაციანით დაე-
ცა ის იატაკზედ. დასდეს ურემზედ და წაიღეს.

სუთი წლის შემდეგ, შემთხვევით შევსვდი მე მოქმი, ზღვის ნაშირას კაცსა, ორმელიც პირველსაგან ნასკაზედ გერვიცან, იმოდნათ იურ შეცვლილი იმის სასის გამომეტულება, ორმელიც დამშვიდებულიყო და დადინჯებულიყო. მოვიდა ჩემთან და დამელაპარაკა; მერე თავის სასელი მითხოდა. მე გავუწვდინე მას, სელი და დავისიერით პირის პირას ერთს კლდეზედ. დიდ-ხანს კილაპარაკეთ და იმ წამიდგან გვირჩნობ მე უღრმეს ჰატივისაცემას, იმ კაცისადმი, ორმელიც თქვენ იქნიოთ ტრენმორის სასელით.

* * *

მართლაც ეს საშინელი საიდუმლოა და მერ არ შემიძლიას ჰატივი არა გაცე იმ კაცს, ორმელსაც არ შეეშინდა ეგ საიდუმლო ჩემთვის მოუნდო. მაში სჩანს ლიცეუმის მთვლით ეგენ და თქვენც, ღელიავ? თუმცა რაიგეს გმადლობთ, მაგრამ ტკირთი მაგ საიდუმლოსი მამიძიმებს მე, და მაწუსქებს. არ შეშიძლიან კაუჭრულებლად წარმოვიდგინო, რომ ეგ გაცი დღესაც გართმედათ სელს, იმ სელს, ორმლის შესება არასოდეს გაბედვითაც გი არ გამიბედნია. რას მოვითიქებდი, რომ თქვენ და იყავით და მერე ვისი! მაგრამ საუბედუროდ კსედამ რომ მაგისთვის თქვენ დაზედ უმეტესი სართ: თქვენის ნება-უოფლობით გაუხდით მეგონარი, ნუგეშინის-მცემელი, სანდო პირი!.. რასაკვირველია, ეს დიდებულ და გეთილ შობილ ურ ქცევას წარმოადგენს. მე თავებნისა გცემო მაგისათვის, ღელიავ. მაგრამ მე ვერ მივნებდრილვარ, როგორ კაბედა და იტვირთა თქვენი მეგობრობა, მაშინ როდესაც უფრო ჰატივ-საცემნი პირი, ცუდში შეუნიშნავი და ულაქანი ცდილობენ თქვენ მეცობრობას! კატორენინი, სუნდების სუთი წლის მთელელი, ქურდების და მამას მგვლელთ თანასწორად მუოვი, ბედამს თქვენს გვერდთ დგო-

მას და არ გაერთხმის თქვენს წინაშე ფუნქცის მტკრად! ამ, მე
მძულს იგი!

* * *

«განა ტრენმორი დაიმსახურებდა ჩემს მეგობრობას, თუ
რომ არ მიეღო იყო იმას დაშვიდებათ, ოკულტც თანასწოროს
თანასწოროსაგან? ნაცვლად იმისა რომ ფეხის მტვრად ჭურჭ-
ილ ჩემ წინაშე, ტრენმორს აქვს ჩემზედ რწმუნება და იცის,
რომ არავის მეგობრობას ისე არ ვაფასებ, როგორც იძი-
სას!...»

სტენიო! როგორ ბედავთ, თუ ამშარტავნებით არა ხართ
დაბრმავებული, თქვენის თავის მაღლა დაეყენებას, მესისაგან შე-
მურულს, მაგრამ მაინც უკაზე შემაგრებულს კაცზე?

თქვენ აუკედრით მას დაკოდომას და ზურგს აქცევთ სწორედ იმ წამს, როდესაც ის დახმხვრეულია და გასისხლიანებული უფლერულიდამ დაუსმარებლად ზეპირ მოცოცავს. საიდან გეტიურბათ, რომ ქვეყნიერობაში ტრიალებთ! თქვენ თანაუგრძნებთ უოკელ იმის უზრუნველყოფის ცირუ-მორჩიმუნებას, ვიწოდ შეხედულობას, დახლუნგებულ თავ-მოუკარებას და შურის ძიებას! კიდოე ცოდნილი თავ-აღებული სდგას, კერავის გაბეჭდამს სელი ჰქონას მას და გვარცხელ-ბეკილგას ჩამოაგდოს; დაუცემა თუ არა, უკელა ესერის მას ქვას და ტალახსა, რათა დაჯგულნერთმანერთი რომ ჩვენ ვითომ კეთილნი და მართლ-მსაჯულნი ვართო. უკელა შიშობს მცირედი თანაგრძნობა გამოუცხადოს ბრალდებულს, ვარ თუ ითიქრონ, რომ ჩვენ ან მას ან ამსახა-გი და მეგობარი ვართ იმისით. თქმებულ ასე მოქმედობთ, სტენიო, დააშურეთ ამის ჩაკვლა, ჩაქვაბა! თუ ქალაქ ადგილას გნახეს რომ ტრენმორის ხელს აძლევთ, ითიქრებენ, რომ ერთათ გატორგაში უოტილსართ მასთან. საშინელებაა! უმჯობე-

სია მოშორდეთ ჭირიანსა!.. ოხ, სტენო, ნუ თუ მართლა ამ გვარი გრძნობანი გაღელებს?

მე სხვათორი კფიქრობ: და მთელმა ქვეყანამ დამასკას საკიცხვავი დაღი ტრენმორის მზგავსად, მაშინაც არ დავინანებ მას, რაც მოვიქმედე. ვასკა მწერლვალს წევთი წევალი, მახლობელს უშემდო ტკირთის ზიდვაში, გარდაგუბდო ხაუსი საბრალო ჯინჯველას დასადორჩობლად გამზადებულს, უოკელიკე ეს ასეთი წერიმალი რამეა, რომ კერც კი კუწოდებ მსელ-მოქმედებათ, მაგრამ საზოგადოება ამასაც კი გვიკრძალამს. სასირცხვილო და დასაძრახველია ჩემთვის, რომ კშიშობთ კაცობრიულ გულ-კეთილობის გამოთქმას საზოგადო აზრის შიშისა გამო! თავ-მოკურედ, შეუბრალებელ ეგოისტად გვსდის იგი და ამას უწოდებენ პატიოსნებას!... იცოდეთ, რომ ჩემს დაახლოვებას ტრემორთან ქრისტიანულ ლმობიერებად კი არა კსოვლი, კი- დეც კამპარტაციები იმის მეგობრობით და ახლად კიბადები იმასთან ყოვნით, ამისთვის, რომ ესლა ის ზნეობით მაღლა სდგას: უოკელ ჩემნგანზედ.

იცით რა რიგათ ითმენდა იგი თავის უბედურებას? თქვენ რაიაკვირებელია, თავსაც მოიკლამდით, რომ თავიდან აგეცილებისათ სათავილო სასჯელი; ის კი დაემორჩილა ბედს, იმიტომ რომ იმ სასჯელს დამსახურებულათ სთვლიდა, ერთი წამის უგუნურის გაცეცლებისათვის კი არა, მთელი წლობით გარევნილებაში გატარებულ ცხოვრებისათვის. ამ მოვიქრებამ მისცა ძალა და მოთმინება, ხუთი წელიწადი გაუძლო უმზავსო საზოგადოებას, შეუკავებელ გარეულ მსეცებს, ტკირთად იდოს სიმულკილი და შეურაცხება მათ მიერ. ეს კაცი სიურმიდანგა შეჩეული უოკელ სანეტარო ცხოვრებას, ამაღდ მძებნელი ბედისა, როგორც ბაირონი საბერძნეთის ცის ქვეშ,—ამოკელო

გატორგის მორევში, ოოგორც მკურნავ ტალღებში და აღმო-
გიდა იქიდას განახლებული, განსპერიაკებული და ხელახლად
გაუმაწიდებული! იმ აუროლებულ სადგურიდამ, სადაც კაცი
ჰქარგამს უკანასკნელ ღვთიურს ნაშერწყალს, ტრენმორი გამო-
გიდა, ოოგორც ხედამთ, დამშვიდებული, თვალ-ნათელი და
ძლიერი...

II

ტბა იუო დამშვიდებული; ზღვასავით კრცლად გარდაშ-
ლოდა მას ზედა ბირი; მცირედი ნიავიც არ აღელვებდა წყალ-
სა, მთების ხაჩები სიშორით ძლიერ ირჩეოდნენ და დასასრულ-
სულ განქრნენ.

ცისა და ტალღების გარდა აღარა სჩანდა-რა არც ერთი
მხრიდან.

ტრენმორი იდგა ნაკთ-სადგურთან, შეხვეული თბილ ბალ-
ტოში.

— სტენიო, უთხრა მან უმაწვილ პოეტის: — წენარად მოუსვა
ნიჩაბი, მინდა უური დაკუგდო წეალის შხაპუნსა. ოაოდენი
საათები გამირარებია, აი ასე, ხმელთა შეს ზღვაზე. დღისით
ჭოჭოხეთურის მუშაობისა და ოხვრის შეძლება, ადარ შემებ-
ლო ხოლმე ძილი და მხოლოდ ამ გვარი ტალღების შხაპუნს
ნები და ზომიერი ხმა მამშვიდებდა.

— გამიგონეთ, უთხრა სტენიომ: — სად მოიპოვეთ ძალა იმ
გვარ ცხოვრების გაძლებისათვის?

— არ ვიცი, სტენიო: — იმ დღემში მე კერას კვრმნობდი,
არა მესმოდა-რა. ოდესაც ვიგრძენ, რა საშინელებაც მეხვია.

გარსა, მხოლოდ მაშინ მოვიკრიფე აზრები და გაგმსნებდი. მე მაშინებდა უკელაბედ უმეტესათ ერთ-კილოვანი უფერული ცხოვ-რება; მაგრამ ორდესაც ვნახე, ორმ ჩემი ცხოვრება სავსე იყო განუზომელის შრომით, დადალულობით, პაპანაჭება სიცხეების დროს და უძილო ღამებით, ცემით, შეურაცხებით, ტანკვით; მე გაგზედე შებრძოლება და გადავწუკიტე უკელაფერი ამეტანა.

— თქვენ სთქვით, შენიშნა ლელიამ: ორმ ბოლოს დროს იმ ავაზაკთა სადგურშიაც მოიპოვეთ განსვენება, და ეს ადგილი მისახვედრებელიც არის. უფერული გრძნობა მოძაბუნდება ერთი და იგივე მდგრადარეობით და უკელაფერს უძლებს. მაგრამ ო-გორ შეეჩირეთ მაშინ მუუდროებას?

— მაშინ მუუდროება მავიღე მე განგებისაგან მოვდინებულ წყალობად, უპასუხს ტრენმორმა: — ცხოვრების საიდუმლოს კერ მიკხედებოდი, კერ გავიგებდი, ოის მოცემა შეუძლია მას, თუ არ ჩავეგდეთ იმ კოჯორსეთის ჯურმულში — კატორგაში! წინათ კსოცხოვთდი მე უსაგნოთ და მოუსაზრებლად, არ ვით ცოდი, რაზედ მომესმარტინა ჩემი მალა, რა მომექმედებინა ჩემის თავისუფლებით, ოთ გამეტარებინა ჩემი გამოუსადეგარი დრო. ასრედ მოვარბებულმა ენერგიამ, ცუდს სოციალურ ცხოვ-რებაში დათრგუნვილმა, იშვა ადსავალი ბრძოლასა, მწუხარე-ბასა და კატორგის საშინელებაში. მე შემიძლიან კსთქვა, ორმ გამარჯვება მე დამტა, თუმცა უძლევი ამ გამარჯვებისა იყო დაჭანცულება, დამშეიდება და მოსკენება. იქ ვიგრძენ პირველად ჩემს სიცოცხლეში, მოსკენებული და შემრტო ძილი, ომელიაც არა მქონია ჩემს ჭებულით სავსე ცხოვრების დროსა. ბოროტება-სა და კაცო-მკვლელებთ შორის ვისწავლე მე ჩემი თავის პატი-კის-ცემა; მათთან ცხოვრება კი არ მამდაბლებდა, უფრო უძალ-ლესად მხდიდა. ჩემს თვალში: ერთის სიტყვით ისეთს მხია-

ოულ სულის მდგომარეობაში კიყავ. ომ ამ გვარ მდგომარეობაზედ პირველში აცნებითაც არ მიოცნება.

ტრენმორი გაჩემდა. სტენით კიდევ ებრძოდა თავის სიმ-ძულვარეს, ომელსაც აგრძობინებდა ეს კაცი და ცდილობდა ომელიმე იმის სიტუაცის გაკილებას.

— ოატომ არას ამბობთ თქენი სინაულზედ, უთხეა მან: — მე კვირებ შესაძლო არ არის კაცი მოსკენებული იყოს, ოდესაც სული კაცის კვლა მძიმე ტეირთად აწეს. ოასკვირ-გლია თქენი აღვიარებთ, ომ ის სასჯელი სრულიად დამსახურებული იყო თქენის მხრით.

— დიალ, მე კალვიარებ, ომ ჩემთვის საჭირო იყო ჭეუის სწავლება, დამშვიდებით უპასუხა ტრენმორმა: — მაგრამ განა კანონის საგნად შერის-ძება აქვს და არა დამნაშავეს მორცე-ლება?

— თუმცა, უპასუხა სტენიომ: — თქენი მოქმედება არ იყო წინად განძრასული და თქენი უსამართლოდ გაგრიეს ჭურდებსა და მკელელათ რიცხვში.

— ჩემი ბოროტ-მოქმედობა კაცის მკელელობაში არა მდგომარეობდა; მე მოვრალი კიყავ და არ მესმოდა, რას ჩაკდიოდი. ბოროტ-მოქმედობა მდგომარეობდა იმაში, რომ მთელს ჩემს სი-ცოცხლეს კატარებდი ლოთობაში, იმ საზიზღარ ღრიანცელსა და გარევნილებაში. მე უნდა გაკესწორებინე კისმეს და საზოგადოებამ კი გარდამავდო, როგორც რომის გლადიატორი მოე-დანზედ, იმ დასში სადაც სრულიად ბიწირი გესლებით უნდა აღისაღვიყავ და წამრთმეოდა კაცობრიული სახეც. დამეთანხმეთ, რომ უცნაური გამასწორებელი ღლასისძიებაა! დიდი მრისხანება განადვიძა ჩემში ამან იმ საზოგადოებაზე, ომელიც სიყრმი-დან ამახინჯებს თავის წევრებს, ძალათ ამრავლებს რაღაც

მოთხოვნილებას და კნებას, თვითგე აქტებს უოკელ ბიწიერებაზე კაცს და მერე თთონებე სკის.

— კი კარგად ლაპარაკობს, უთხრა სტენიომ ლელიას ნელის ხშით: მაგრამ მარტო მცენ-მეტყველება არ არის საკმარისებლია და სირცხვილის მოსაბანად.

— რასას კირკელია არ არის საკმარ, სმა-მაღლა უპასუსა ლელიამ: უნდა კიდეც სიტყვისა გვზრად იმოქმედოს. კიდეც მოქმედობს ესა. კატორგაშივე დაიწყო მაგან ასაღი ცხოვება, ნუგეშს სცემდა და კეთილ გრაშედ აუნებდა თავის უბედურ ამხანაგება. ათა წელიწადია რაც ეგ თავისუფალია და უცნაურის დროთა ცვლილების შემთხვევით კრთი ლოდ შეიძინა სიძირდე, რომელიც ადრე დაჭირგა, მას აქეთ მაგის ცხოვება ჯაჭვისაკით გაბმულია თავისანწირულებით. მე მსოლოდ დამჭირდება ერთი სიტყვის თქმა, რომ დაგარწმუნოთ...

— მოითმინეთ, უთხრა ტრენმორმა: — რისთვის გამოსთხოვ გრძნობას დარწმუნებითა და დამტკიცებითა, ამ გრძნობას, რომელიც თავისუფალი უნდა იქთს? სიმშატია ერთს წამში არ დაიძიდება; დაუ სტენიოს ამ ხანად ნუ სწამს ჩემი გულ-წრიველობა.

— ეგ მართალია, რომ ჯერ გურგად კერ გაგიცხნით და არ გერწმუნებით, სიტყვა ჩამოართვა სტენიომ, მაგრამ კო-სელ შემთხვევაში, დამიჯერეთ, მე თქვენ არა მმულსართ...

— თქვენი სიძულევილი სრულიად არ მაშინებს. მე, უმაწვდომ კაცი, უბასუსა გულ-გრილად ტრენმორმა: — კიცი ჰეგანაზედ კაცი არ იქნება, რომ არ შემიძელოს თუ გი გაიგებს, რომ კატორგაში ნაძიროვი კარ. საზოგადოების წესდებულობით, უკედას ნება აქვს შეურაცხება მომაუნოს და უარი მითხრას, თუ დაკმაყოფილებას მოვსთხოვ ამ შეუ-

რაცხებისათვის. ამისათვის ჩემი თავი დაკაუნებ გაცობილულ შეურაცხეობაზე მაღლა; პირველად ჩემი თავის შატივისცემა და დაფასება კისწავდა. უს უძირობასესი სიკეთეა, რომელიც შრომის აფლით შევიძინ და მოვისან უაველივე ლაქა ჩემი დაკოდილ გულის სისლოთა. ამ სიკეთეს კერავინ გამომყინვას და არავის ას შეუძლიან ჩემი დამწირება.

ტრენმორის ხმა ისეთის კეთილ-შრბილებით და დამშვიდებით იყო აღსაკე, რომ სტენიო გულის საღრმემდინ შეამსჭვალა. მაგრამ სელ ასლად იმის აზრები დაკავირდა; ქარი უფრიალებდა ლელის თმის და წამოსასხიამის ფოჩხა, და ისე, რომ ერთოც და მეორეც იმის სახეს ეხებოდა, მაშინ ტრენმორის მოელის სსუელით შეათროთლებდა ხოლმე, და სარბათ ექებდა იმ თვალების ელგარებას, რომელიც ისე ჭადრჭულად ანათებდნენ სიბნელეში.

III

«ლელავ, ეგ უმაწვილი-გაცი ღირსია უკეთესის მსჯედობა. მე არ მეტის არ საგნისათვის გინდათ გააბათ სიყვარულის ბადეში? ნუ თუ მხოლოდ თქვენის თავ-მოუვარეობისათვის? ცოდვაა; სტენიო ნამდვილი პოეტია: იმის ესმის და გრძნობს სიუბარულსა უმაღლეს, იდეალურის აზრით. ეგ ისეთი უმანკოა და წმინდა, როგორც წრიველი ქალი, იმიტომ აგრეც ცეცხლ-მოდებულია თქვენგან. მე არ მესმის, როგორ შეგიძლიანთ აგრე გულ-გრილად მზერა, ერთს თქვენს შეხედგაზედ ის სან აენთება და სან კარგავს ფერსა, მე არ მჟეროდა რომ დედა-გაცის ბუნებაში მაგდენი სასტრიგობა იშრებოდა! გაფრთხილ-დით ლელიავ, თქვენ იმის ბევრს აკნებთ. თუ აუღელები იმას

გაუზაძლარ გულში კელურ ტრიფიალების აფს და სურვილს არ დაუკმაყოფილებთ, დაღუპამთ. თუ არ შეგიძლიანთ სტენილს შეკვარება, მოიშორეთ თავიდან, ანუ თითონ თქვენ შორს მოსცილდით. »

* *

«მე მოვიშორო სტენით ანუ გაკვერც მას! თქვენთვის სათქმელად ადგილია, ჩემო გაციებულო და ცხოვრება მოჭმულო მეგობარო. თქვენ გვონიათ, რომ ჩემთვისაც აგრე ადგილა, როგორც გეადვილებათ თქვენ, ტრენმორს, დამტოვოთ მე, დელია!»

«ტრენმორ, მე კერ არ შემიძლიან უარ-უფრ სიუკარული და ბედნიერება; მე არ მიმიღწევია იმ გაუინულ მთის წკერამდინ, რომელზედაც თქვენ სდგეხართ... მე იქ გავიუინებოდი! დე ვიუ სუსტი და დაუდგრომელი; მაგრამ ნუ დამარქმევთ მე სასტიკს და თავ-მოყვარეს: ეგ დედა-გაცური ბიწიერება ჩემში არ არის. არა, არ მინდა მე შემუსკრა ნორჩის გულისა, არ მინდა გაკუჭრო მას ჰოეზის ცეცხლი. დამშვიდდით, მე მიუკარს სტენიო. »

* *

«შენ მე აღმითქვი, რომ გეუვარები შშვიდის სიუკარულით და კიქმნებით ამით ჩვენ ბედნიერნი. კიდო აწმუო ასე კარგია, ნუ ისწრაფი აგრე ხარბად მერმისისა და მომავალისაკენ. სიუმაწვილემ არათრით სარგებლობა არ იცის; ის ისწრაფვის უკელას გაცნობას, უკელას გამოცდას, უკელას დაპყრობას, შემდეგ კი ჰქვირობს, რომ ცხოვრება ასე ცოტას აძლევს! უძლობესი არ იქნება დაწმოგოთ განცხრომა და კსკათ წერ-წერობით გამოუთქმელი ვეუფუნგება თვალებისა, აზრისა, სიტყვისა და სიუკარულისა? განა არ კიუკით ბედნიერნი ჩვენ გუშინ, ერთად

რომ ვისხედით ხის ძირსა? სტენიო, ჩვენ დამოკიდებულებაში ჭერ არა სჩანას; მამა-ქაცის უფლება დედა-ქაცზედ; დამაცალე დაგატებე ამ გარემოებით, რომელსაც მთელ ჩემს სცოცხლები დაშეძლი... შენ ეხლა გრძნია, სტენიო, რომ ქვეყანაზედ სა-უკარელის მეტი არა არის-რა; — მაგრამ მე მიწიოვნია, მუკა-რებია და კიცი, რომ არის სურვილი და მოთხოვნილება უფ-რო უმაღლესი, მტკიცე და მნიშვნელოვანი, ვიდრე სიუკარელი. ჩვენ გვაუძლულებს ბედნიერების წყურებილი; არ ვიცით, როთ დავაკმართვილოთ იგი და ხარბათ კვიდებთ ხელს; ბუნებ-რივ დტოლვილების ერთი სქესისას მეორესადმი; აღმოვირ-ჩევთ თაყვანის-საცემელ კურპსა, მივაწერ ურკელ-გარ პოეტურ სისრულეს, მაგრამ მალე აღმოჩნდება, რომ ისიც ისე სუსტი და არა რაა, როგორც ჩვენ,— და სტოკებს თავის შემდეგ ისევ იმ სევდიან ფუქსავარ დაუკმართვილებულს სურვილსა. ნუ სჩა-რობ შენის თაყვან-საცემი კურპს დანტკრევას. »

**

« მშვიდობით, ლელიავ! მე გარდავწუკიტე ჩემი თავი სა-სიკვდილოდ გადავდო. ვხედამ, რომ თქვენ სიყვარელი არ შე-გიძლიანთ, დღეს თუ უსაბედათ მაჩუქეთ რამდენიმე ბედნიერი წამნი, ხვალ ეცდებით ისევ უკან წამართვათ. ერთს ამ გვარ წამს, თქვენ მაკოცეთ და ახლა გეშინაანთ, რომ ამის მოკო-ნება დიდ ხასს ბედნიერად მამყოფებს. დამშვიდლით, ლელია, თუმცა კოცნისაგან სული შემიგუბდა, დარწმუნდით, რომ გო-ნება გი ისევ შემრჩა, იმისთვის რომ თქვენ გვერდთ-მურვი გონის ჟერ დაჭირებამს; მე აგრეთა უტკურ არა ვარ, რომ დედა-ქაცის კოცნა სიუკარელის დამტკიცებად მივიღო, მე არ მაღ-მიმს, მარმარილოს სული ჩავუდგა და შეკვდარი აღვადგინო.

« საწამლავი მზითა მაჭეს, თამამად შემიძლიან უკულაფრის

თქმა, რადგან ერთმანერთს ვეღარ ვისილამთ. იქნება დაგნან-
დეთ სათამაშო, არამდის დანტვერცხაც და წვალებაც შეგეძლოთ
სურვილისასმებრ. ოქენე მითხარით, რომ გიყვარებართ ტრენ-
მარტინი მომატებულად: მართალია, თქვენ ას შეგეძლოთ ის
ისე დაგეტანჯათ, როგორც მე მტავვანდით: თქვენი ფრჩხისი-
ლები იმის რგონის აზჯარზე მოცვდებოდა; მე კი თქვენ სელ-
ში ჩვილი სანთელი ვიყავ, რომლიდანაც უოკელ დღე გამოს-
ჭიდულიდით ახლ ფორმის. ამ ასრით, რასაკვარვებია, მე უვ-
რო მოგეწონებოდით...

«ლელია, მომიტევეთ ამ გარე ლაშარავი. მე მიუვარსართ
თქვენ უსამზღვრო, უზომო ტრივიალებით, მიუვარსართ თავ-
დაკიწყბამდე. თქვენ ადგილად შეგეძლოთ ბეღნიერ უმაწერდ-გა-
ცედ და ნიჭირ პოეტიად გარდაგემციერ, ნარევად ამისა. თქვენ
დაშრიტეთ და დასტანჯეთ ჩემი სული, მე ესლა უარ-კუოფ
სიყვარულსაც და სიცოცხლესაც; დაკმაყოფილდით? მშვიდობით!»

IV

შეა-დამისას ტრენმორი კამოეცსადა კტენიოს და ნახა
იგი ღრმად ჩაფიქრებული სტოლთან მჯდომარე, წინ ედგა სავ-
სე სტაქანი რაღაც სასმელით.

— წამომუეგით ესლავე ლელიასთან, უთხრა ტრენმორმა: —
ის კვდება და ისურვა თქვენი ნახვა სიკვდილის უამს.

სტენიო წამოსტა და სელასლად დაეცა სკამზე, ტილო-
სავით გადუთეთრდა ფერი; ბრდოს ისურ წამოდგა, თრთო-
ლით ჩავჭრო სელი. ტრენმორის სელს და ორივემ გასწიებ
ლელიასაკენ.

ლელა იწვა კრაოტჩედ დოუებ-ჩაღურუებული და თვე-
ლები თითქოს სულ ჩასძრომოდა. სიმთელის დროს გადაჭი-
მულ შებლზედ, გაურბენდა ქსლა რაღაც ძალიგების თრთო-
ლა, ხმას წერიალი მოჰქლებოდა, ტუნებზე ჩვეულებრივი და-
ცინებისა და ზიზღის ღიმილი უკრთოდა.

გირდით ჰყავდა ექიმი კრეიჩინ ფუტერ, დაწათიანი, ლა-
მაზი ქერა კაცი, მშკნერი პირის კანით და დედა-კაცების
თეორის სელებით, რომლითაც მოურიდებლად ეპირა ლელას
სელები და სამუშ-ხამუშ უშინვამდა მაჯას; და ხას უდარდეჭად
ქრის თმას იბურძგნიდა.

— არაივერა, ამბებდა ის, სასიამოვნო ღიმილით: — ეს
მხოლოდ სოლერა არის, cholera morbus. ჩვეულებრივი
ავად-მუოვობაა, და კარგად გაგებულია ჩვენს დროში. ის შოჭ-
კლამს ორის საათის განმავლობაში, ვისაც ეშინიან, მაგრამ უში-
შარი გაცისათვის სოლერადაც მაკატები არ არის. გამხნევდით,
სენიორა ლელავ, მე და თქვენ არ გვეშინიან სოლერისა. მო-
დი კრთად გიმასსარაოთ იმაზედ.

— გამიგონეთ, უთსრა ტრესმორმა: — მოდი კსცადოთ ექი-
მის მაგენდის ფუნქცია.

— კსცადოთ, რატომ არა, კსცადოთ, თუ ავად-მუოვს არ
ეჭავება. უშასუსა დაუდევნებად დამაზება ექიმმა.

— მე გამიგონდა, აშენიშვილი ცივად ლელამ: — ეგ მხურვა-
ლე საშუალება არის! არა სკობს კსცადოთ დამამშვრდებელი
რამე?

— კსცადოთ დამამშვიდებელიც, თუ კი გრწამთ ამ გვარი
წამალი, დაეთანხმა ექიმი.

— თქვენ რას გვირჩევთ, მკაცრად ჰქოთხა სტენიომ. თქვენ
სულ-შეუშ გვითხარით.

ამ კითხვაზე ეჭიმბა შებრულებით და დაცინებით გარდა-
სედა ურმა პოეტია და გარეულებით უპასუხსა:

— ჩემი სკინძილისი მიბრძანებს სრულებითაც არა ურჩიო-რა
და ავათ-მუროვობის მსვლელობა არ შევშელო.

— ძალიან კარგი, ეჭიმო, უთხრა ლელიამ: — უკელას ის ემ-
ჯობინება წახვიდეთ დასაძინებლად; ეხლა კარგა დაგვიანებუ-
ლია.

— ოჟ, ნუ სწორად ჩემი კულისათვის, სიტყვა ჩამოართვა
ეჭიმბა, ჩემთვის ძალიან სასურკელია ავად-მუროვობის მსვლელო-
ბის უწირ უგდო, ძალიან მიუკარს ჩემი ხელობა. მზადა კარ,
დავივიწყო ძილიც და ჭამაც!

— რა არის თქვენი ხელობა, ეჭიმო კრეიზენჭეტერო? ჰერ-
სა ტრენბირმა.

— ჩემი ხელობა ის არის, რომ შეკანაწევრო კაცის სხეუ-
ლის ავად-მუროვობა, უკრადლებით შევისწავლო და მის დაბო-
ლობის დავუსწრო.

— იმისათვის რომ გიგიენური წესი და რიგი მერე საკუთ-
ად თქვენთვის გამოიყენოთ? უთხრა ლელიამ.

— მე არა კითარი წესი და რიგი არა მჯერა, უპასუხსა ეჭიმ-
ბა: უკეთა ჩვენთაგანი სიკედილის შეიღვია და თუმცა დიდად
გსცდილობთ დაგმორდეთ განსაცდელის დღესა, მაგრამ უნებ-
ლიეთ უფრო მისკენ მივისწრავით. ჩემის აზრით უმჯობესია,
რომ იმაზედ არ ვფიქრობდეთ.

— თქვენ ნამდვილი ფილოსოფიასი სართ, შენიშნა ლელიამ,
ძლიერს მოასწრო ამ სიტყვების დაბოლოება ლელიამ, სა-
შინელი გვლანჭა მოუკიდა და გულ-შემოურილსაჭით დაუცა სტუ-
ნის მჯლავზედ.

— გაუოფათ, საკმარის უთხრა უდარდელად ეჭიმბა: — თუ

აგრე აჭუკებით აკად-მუოფობას, თქვენი საქმე ცუდათ იქმნება, უნდა გულ-გრილად იყოთ და არ შეუშინდეთ.

ლელიამ წამოიწია და მკლავზე დაეხვინა, ტკივილისაგან ჩამქრალი თვალები დააშტერა ექიმს და უთხრა დაცინების ღი-მილით:

— საბრალო ექიმო! აბა ერთი სცადეთ ჩემს ალაგას ყოვნა!

— გმადლობთ! იფიქრა ექიმმა.

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ არა გწამო წამლების მოქმედება; განაგრძელა ლელიამ, ტკივილების გადაკლის შეძლება: — მაშ არ გწამებიათ მედიცინა?

— რატომ არა? შესწავლა ანატომიისა და გაცის ნაწილების შეკრთხების შეგნება ნამდვილი მეცნიერებაა.

— რომელიც შეადგენს თქვენთვის სასიამოვნო დროს გა-მართობელა, შენიშვნა ლელიამ, გადაბრუნდა მეორე გვერდზე დაუმატა: — აბა მაშ მოძღვართან წადით, რადგან ექიმი ხელს იღებს ჩემზედ.

ტრენმორი წავიდა მღვდლის დასაძახებლად:

მოიუკანეს ის მაღალი, მშვენიერი ირლანდიის მღვდელი, რომელსაც აზეუნებდა სტენიო ერთს თავის მიწერილ წიგნში. იგი მიუგადავის ქვეშაგებს წენარის და ზომიერის ნაბიჯით, პატივის-ცემის გაგრძნობინებდათ იმისი წამლისადეგობა.

— შეძლო ჩემო! უიხრა მან.

ამ სიტყვაზე ლელიამ აიხარა თავი, გარდაიუარა შებდეზე წამოწერილი თმები და მიაქცია ლუდლისაკუნ პირისახე.

— გადევ ეს დედა-გაცი! წარმასთვევა მან საშინელებით და უკუდგა.

მთლად შეიცვალა სახიდამ, ლოუები უცებ აენთო და იჭვებაფითოდა და ჩაღურჭდა, თვალებში შეტურ შიში და

მწუხაობა. სტენითს მოაგონდა მაშინდელი გადატეითონება მღვდლისა, როცა იმ უქანასკნელმა ლელის უარ-უფიციას საკისე გამომეტეკელება შენიშნა.

— თქვენა სართ მაგნუს, უთხრა მან: — მაცნიო?

— როგორ არ გიცნობ შენა! უთხრა მღვდელმა იმ სმით, თითქოს გონიებას კარგამსო. კაი მე, კაიმე!

— მოდით ჩემთან, სულის წელების მკურნალო! უთხრა მან: — სომ მსედამთ რომ კეკდები; თქვენი კალია რომ მიმუ-მდგომლოთ ღმერთთან და წარმგზავნოთ აქედან მიტეპებული; რატომ არას მეუბნებით?

მღვდელი იღგა ჩუმათ და თრთოდა.

— მაგნუს, დაისსენით ჩემი სული, განაგრძელა ლელიამ დაზონებულის ლიმილით და ჩამქრალის თვალებით ულიკს იუუ-რებოდა. ადასრულეთ თქვენი კალი, შთამაგრუნეთ რწმენა, მო-მეცით შეძლება მოვინანით ცოდნები.

— მე არ შემიძლიან, წაბუტბუტა მოძღვარმა: — თქვენ იცით რომ მე არ შემძლიან. თქვენ ჩემზედ მომეტებული მალა გაქვთ.

— ეს სადაურია? უპასუსა ლელიამ და წამოვდა: — ეს რო-გორ უნდა განვმარტოთ? მღვთის მსახური სდგას მომავალდავ დედა-კაცის წინაშე და არა აქეს იმოდენი ძალა, რომ ნეგეშ სცეს, ეგ არის თქვენი სწავლა? აა გწამთ თქვენ? ეს მაინც მითხარით, სად წავა ჩემი სული? სუვერეს სამორსე? არის ჭო-ჭოსეთ?

მღვდელმა თავი ჩაფუნა.

— კარგი ნეგეშის მომცემია თქვენმა მზემ! წარმოსთქვა ლელიამ: — დამიძასეთ ისეგ ეჭიშსა, იქნება იმან შეძლოს კერ-ცხლისა და ოქონს გულასათვის ჩემი სიკვდილისაგან დასხსნა.

— მე აქ სრულიადაც არა შემიძლიან-ოა, უპასუსა კრეიზენ-

ჭურერმა: — ავად-მუოვობა მიმდინარეობს ჩვეულებრივის წესით. თქვენ წყურკილი გეჭნებათ? დალიეთ და დამშვიდებული დაწეჭით. უოკელივე წამალი ესლა უპეტელად დღეს მოგისწრავებთ; უნდა ბუნების მოქმედებას მიანდოთ.

— ბუნებას! სთქმა ლელიამ: — მე მსურს იმას შეგვეძრო, მაგრამ სად გამიგონებს. კიცი რომ იმის წიაღში უნდა დავბრუნდე, არა მაქვს უფლება კსოვოვ სიცოცხლე; ამისთვის რომ უპეტელია მოიზოვება საღმე დედა-მიწის კუნჭული, რომელიც საჭიროებს ჩემს გვამსა უხვად ბალასის აღმოცენებისათვის: უნდა შეგასრულო ჩემი დანიშნულება. მაინც და მათც მოძღვრის მოუკლეობაა, ვისაც ის ემსასურება, იმასი მოწყალების თვალი მოაზურას მომაკვდავ არებასაც. მასწავლეთ ღვთის კედრება, მაგნუს!

— მღვთისა! განიმეორა მღვდელმა სინანულით, და ცოტ-ლები გარდმოცვიკდა თვალთაგან.

— მაშ მომშორდით თავიდგან! უთხოა ლელიამ: — სედამთ ტრენმორ: აი თქვენ წინაშე სდგას მკურნალი, რომელსაც არა სწამს მეცნიერება, სდგას მღვდელი, რომელსაც არა სწამს ღმერთი. ერთია დაუენებული მისთვის, რომ შემწეობა მისცეს ცოცხლებს, მეორე მომაკვდავის ნუგეშისათვის, და ორნივე აღმოჩნდნენ ძალა მოღებული! სად არის მაშ ჭიშმარიტება?

— გამაგონეთ, უთხოა კრეზენფეტერმა: — მე რომ მეჩენებინა თავი ყოველიგეს მცოდნე მკურნალად, თქვენ თითონ ამიგდებდით მასხარად. მე განა არ გიცნობთ: თქვენ ფილოსოფო-სი ჭალი ბრძანდებით!

— უკრი დამიგდეთ, უთხოა მაგნუსმა: — არ გასხოვთ ჩვენი სეირნობა კომშელის ტუები? რომ გამებედა სარწმუნოების სწავლაზე მეოქვა რამე, თქვენ თითონ გამაჩუმებდით!

— ა ვისთან გქონდათ თქვენ ძალა! უთხრა ლელიამ, მწარეს
ღიშილით: — ადვილად დამჯერებლებთან და უღონოებთან! თუ
შეგხვდათ მოწინააღმდეგებ და ურწმუნო პირი თქვენის აზრები-
სა, მაშინკეთ უარ-ჭეოთ თქვენ ნათქვაშ სიტყვებს და თქვენკე-
აღვიარებთ, რომ გაიძვერულად იქცევით და უგელგან სუფეს
სიცრუე და პირვერობა, რადგან საზოგადოება არა უაბულობს
კაცმა პატიოსნურად აღვიაროს სიმართლე. ვინც კი გაბედამს
იჭინებულობის გამოწვადებას ან მიუსდომელობასა, ჩააჭაპებენ!..
იქნება პოეზიაში მაინც იურა, სტენიო, სიმართლე და სამარ-
თალი? მე მსურს რომ ერთი რამ მაინც მწამდეს, თუნდ შენი
სიუკარული მაინც?

— ლელია, უთხრა სტენიომ მუხლ-მოდრეებით, — მომეც
შეძლება ერთი საათის განმავალობაში მაინც მწამდეს შენი
თავი, თუნდა ერთის წამით! მწამდეს, რომ დედა-კაცი ხარ
და შეგიძლიან სიუკარული...

— საბრალო, სოჭვა მისუსტებულმა ლელიამ: — მე მეუკარე-
ბხ შენ, თუ ცოცხალი გადაკრჩი... ლელია უკრიად საშინელის
გვლანჭით დაგცა იატაგზედ, სტენიომ მიიღო გულში და იძის
ალერსის გაკლენით, მიმკვდარებულ ლელის ლოუბის ხელ-
ახლად მოადგა სისხლი და თვალები მიღულებით აღეხილნენ.

V

ერთხელ დალით სტენიო დადიოდა მონტაროზის ტუბან
გარაკებზედ. სქელ ბუჩქნარებში ტაქნილმა ბილიგამ მიაუკანა
იგი ერთს განიერს ნიაღვრისაგან ცაცუთებულს ხევთან, რო-
მელმაც მიმდინარებოდა წუალი და მიჭქონდა თან აკ-მარე-

უდაბური, მაგრამ დიდებული ადგილი იყო ეს ადგილი. მთის ნაპრალებიდამ გამოსხანდა შავი მიწა, კლემატიცები სურ-ნელოვანის ტოტებით შეხვეულა ციცაბ შავ გლდებსა. ორსავე მსარეს ფრიალო კლდენი აღმაღლებულიყვნენ, როგორც გა-განტური კედლები, გარს ეხვია დაბურვილი ფიჭვი და გარეუ-ლი უურძენი. თვით ხევში მოვირწყლებ ადგილზედ მიშჩრა-ლებდა მდინარე: თუ თქენ არსად გინახამთ მთიდგან გამო-მდინარე ნაკადული, არ გეცოდინებათ, რა მშენიერია წეალი და იმისი წერიალა ჭარმონიული ხმა!

წეალის დაქანებასა და მიმდინარეობაში მოისმის ათასი სასამარკნო და ასამაღლებული და ღაბალი სტები, მოჩანს ათა-სი მუქი და ბრწყისებულე ფერები. ნელა და ჩუმად, თითქოს ძარღვების ათრითლებით, მიგოგავს იგი მარმარილოს ფილა-ქანზედ, ანუ რძესავით გათეთრებული მიწეროლავს ფრიალოებ-ზედ, თითქოს მრისხანებისგან სმა უწყდებათ; ხან მწვანე, რო-გორც ბალახი, რომელიც თითქოს ოდნავ მოუზნექსმს რასმელ, ხან ლავგარდი, როგორც წის გამარა, რომელიც მაშივე თრთის, მიიკლავნება ლელებში სისინით, თითქოს მზეზედ მის-ძინებათ და მცირებდ ნიავის მობერვა აღვიძებს ნელის ხმითაო. ხანდისხან იგი კვენესის და ღმუის გარეულ მხეცსავით და და-ლებულის ერთგვარობით ჩასრიალებს უფსკრულის სიღრმეში, რომელიც ბირს უმზადებს ჩასახთქმელად. ამ ღროს მიმდგარ მზის სხივისაგან ჭურის მსუბუქ შეცებს, სხვა-და-სხვა ბრწყის-კალე ფერებისას. ოცნება ამაზედ უკეთეს კვრას წარმოიდგინს, ამისთვის რომ ბუნებაზედ უმშენიერესი არა არას რა, როცა იგი კულურ და პირვანდელ მდგომარეობაშია.

სტენო ხშირად ატარებდა ღამების გარეულ კიპარზის ჭეშ, რომელსაც შორს გარდამასა თავისი უძრავი ტოტები.

ნორჩ ბალასზე მწოდარე, უმაწვილ შოუტს აკიტუდებთ ა ის საათებიც, რომელიც დედიასთან უნდა განეტარებინა, ჟადგან იმ სანში სიყვარული შოულობს ბევრს საზოდოს საყვარლის და შორებაშიც ვთ. იმისთვის კარგი დრო იყო ის ფამი სიყვარულისა და სიუმაწვილესი; იგი შეიცავდა ბედნიერებას, სამყოფს რამდენსამე არსებისათვის და ისეთსაც სისწოდებით ჩაიარა როგორც მდინარე წყალმა.

იმ დღეს, მინდორში გასულმა, სტენიომ დაინახა თავისგნებ მიმავალი კაცი მსარეულის სასით. ეს იყო მაგნუსი. როგორც სასწავლა იმისა სული ძალის აღელვებულ და აშვითებულ მდგომარეობაში იყო.

— რაო, უმაწვილო კაცო, უთხოა მან სტენიოს: — თქვენ ეხლა მარტო ხართ. ის დედა-კაცი მოკვდა?

— ვინ დედა-კაცი? ჭირისა სტენიომ.

— ამ ჭირისაში მე და უნთვის მსოლოდ ერთი დედაკაცია — ლელა! უშასუსა მღვდელმა სმის კანკალით: — ის სომ მოკვდა? თქვენ ნახეთ როგორ კვდებოდა? მე მოსარეული კარ, რომ ის აღარ არის; იგი დემონი იყო, იმან წამწერინდა.

— უბედურო! დაუკვირა სტენიომ და სელში მისწვდა: — რას ამხობთ? როდის გაიგონეთ ეგა? საიდან მოდისართ? როდის ნახეთ თქვენ ლელა უკანასკნელად?

— მე ვნახე ის ერთხელ ღრუბლიან და გაცრიაგებულ დილით, უთხოა დაფიქრებით მღვდელმა: — თენდებოდა; მე ტაძრის კარიდან გამოვდიოდი, დიდმა გამოქანდაკებულმა მთავარ ანგელოზმა, აღმოსავლეთის მსარეს რომ სდგას, გაანძრია ტუჩები და მითხოა: ლელა მოკვდათ. უმდეგ ჩემს გმერდით აფრინდა ბუ და იმანაც ჩამომეუკლა, ლელა მოკვდათ.

— თქვენ აღარ გემორჩილებათ გონება, უთხოა სტენიომ:

— რომელ დილაზედ ლაპარაკობთ? რამდენმა სახმა განვლო
მას აქვთ?

— მას აქვთ მრავალ დღეებს ჩაუვლია. მე არ ვიცი რამდენს;
მას აქვთ, რაც ლელია მოკვდა, მე ადარა კსოვლი აღარც დღეებს,
აღარც დამეტებს; მე თავისუფლად ამოვისუნთქმა, მძიმე ტვირთი
მომექსნა!

— ესლა მესმის მე, თქვენ ამბობთ იმ საშინელ ავად-მუო-
ფობაზედ, რომელმაც კინაღამ არ მოჰყელა ლელია, შენიშნა
სტენიომ: დიდი შთაბეჭდილება მოუხდენა თქვენზედ, რომ
თქვენი ტვინი აგრე შერყეულა. თქვენ ომასა და წვერზედ გეტ-
ულბათ, რომ დიდი ხანია რაც ამ მთებში იმულებით. წამომ-
უგირთ, მიაშეთ თქვენი ამბავი.

— მე სადარდელი. აღარა მაჭვე-რა, ატრაცებულის დიმილით
უშასეუს მაგნუსმა: — ლელია მოკვდა, დუმნი მომშრადა, დაუ-
ტება ჩემი ტანჯვა. მომისმანეთ: როდესაც მე შევეღ იმ დედა-
კაცის სასლში, მაწა შეირყა და კიბის ნაივებურები სამჯერ-
უკუდგნენ, როცა მე ზედ აკდიოდი. ქარი რომ გავაღე და და-
გინასე შეურილი სალსი, მაშინკე გამასსენდა, თავი როგორ უნ-
და ეჭიროს მღვდელს სალსში. უგელის თვალები მე დამაცერ-
დნენ, იცით რა ძნელი ასატანია, ადამიანის თვალის დევნა?..
იცით მღვდელისა და ბერიათვის რა ძნელია უოველოვის დმო-
ბიერ, შეურუებულ და მოუდგომელ წმინდანათ ეჩვენოს?.. ზურგ-
ზედ მთის წამოვიდება უფრო ადვილია, სინამ ეს დაძალადება!..
მე მახსოვეს, რომ შევეღ საივენ დაგებულ და უგავილებიან თახა-
ში, სადაც დამპები ენთო წითელ შეშიან კამარების ქვეშ და
თეთრი, ატლასის ქვეშიაგებზედ იწვა მთლად სპერავ შესამო-
სელით დაგებულ საწოლზე დედა-კაცი. შემომსედა თუ არა,
ვიცან რომ ლელია იუ, მაშინ მივსკდი სადაც შემიყვანეს:

უკავილები გარდაიქცნენ გველებად, ყვდლები შეიღება სისხლით, ლამშები აპრიალდა კოჯორეთის აღით. ლელია მთხოვდა მე-შეელნა მისთვის, ეს მახსოვეს; მაშინ წარმომიდგა, რაოდენი ხემწინა და კერძება დამისარჯვეს იმის წინაშე, რამდენი ამაო ფრემდი დამიღვრია იმის მუხლთან,—და ჩემი სული მოიცვა შერის-ძიებამ, მე დავსაწევლე ლელია და იმ წამსკე თითქოს ლრუბელი ამეფარაო; განერა უკელათერი ჩემ თვალ-წინ და თი-თონ ლელიაც; მე გავსწნდი ტაძრის კამარის ჭეშ და მთავარ-ანგელოზმა მითხრა, რომ ლელია მოკედაო. ეხლა ბედნიერი კარ.

— რისთვისა სწევლით თქვენ იმას? რად გიხარიანთ იმის სიგვდილი? ჭეითხა სტენიომი:—თქვენი ხარისხის ჰატრონი, როგორა ბედაკო, რომ მაგ გვარ გრძნობებს გულში ინიხავთ?

— კიდეც იმისათვისა კსწევლი, რომ ჰატივსა კსცემ ჩემს ხარისხს ლელია არის ჩემი დამტუბავი, ჩემი მაცოუნბელია ჩემი ხარისხი მაკრძალამს არამც თუ იმასთან დაახლოვებას, თვით ამ სურვილის გულში გავლებასაც კი. ის კი უსირცხვი-ლოდ მოგიდა იმ წმინდა ადგილს ჩემთან და წაჰილწა თავის კოჯორეთურის ალერსით!

— შენ სტეუ! შექუირა გარეთებულმა სტენიომ:—ლელია არასოდეს არ ჭიარებისაა შენ და არც უძებნისაა!

— ახ! კიცი! უპასუხა მღვდელმა:—თქვენ არ გესმით:— დავსხდეთ აი აქ და მე უკელას გიამბობთ.

ამ დაპარაკში, შემდილმა მაგნუსმა დასვა სტენიო უფ-სკრულზე ხიდივით გადადებულ მოქრილ ხის კირკზედ. ისე კსწრათებოდა სტენიოსაც მღვდლისაგან ამბის გაგონება, რომ არ მიხედა ამ საშიშარს ადგილს და დაუუკანებლად აღუსრუ-ლა სურვილი.

— გამიგონე, უთხრა მღვდელმა: — შენ იცი რომ ორი ლელია არის?... შენ ეს არ გეცოდინება, ამისათვის, რომ ფრანგის მღვდელი არ ეოთილსარ, შენ არ მოგევლინებოდა ჩვენებანი! შენ ჩვეულებრივ და სხვებსავით სცხოვრებდი; მე კი ფანტასტიურის ცხოვრებით, ამაში მსოფლი ფრანგის მღვდელინი არიან გამოცდილი, მე კხედავდი თხის ლელის, დედა-ქაცის და იდეის, იმედის და სინამდვილეს, ხორცია და სულის. გესმის, რას კამბია? ეს ცხადია და მე მსურს ეს ყველას უამბო, რომ იცოდნენ სხეულმაც ლელიას მორიდება. ის განუშაუებლად იურ ჩემთან ეგლესიაში თხის სკეტებს ზემოდ, სადაც თორი გამოქანდაკული თეთრი მარმარილოს ანგელოზები არიან; ამ ანგელოზებზედ იდაუკ დაურდობილი, დაცინების ღიმილით გადმოიურებოდა ძირისა. ყველანი იმის მისჩერებოდნენ, ყმაწვილნი და მოსუცნი, მდიდარნი და ნასწავლნიც; ყველა ცდილობდა იმის უურადღება მიზიდნა; რა მშექნიერი რამ იყო, რა რიგად მიუვარდა მე ისა! მსოფლი მე ვიცოდი, იმის გულში რა ტრიალებდა!..

— როგორი იურ მეორე ლელია? ჭკითხა სტენიომ.

— მეორე ლელია! შეკუგირა მაგნუსმა, და შებდზედ ხელი შემოიერა: — მეორე იურ მულაპაკი გასლეშვილი, მოჩვენება... თუმცი ჟი ერთიც და მეორეც ისევ ის ლელიაკე იყო!

— სად შეხვდებოდით ხოლმე ერთმანერთს? ჭკითხა ადშტოთებულმა სტენიომ.

— ღწევან; უპასუხა მღვდელმა: — სადამრა ლოცვის გროვების დროს, როდესაც მთლად ხალხი თან გაჰყებოდა ხოლმე ლელიას, მეც კადეკნებდი იმის თვალს და გულსაც, სამწესაროდ ჯვრმნობდი, რომ მღვდელი კარ და არ შემვერის სხვასავით იმის უკას დევნა, არ შემიძლიან დაკაწვდე იმის ხელ-

თათმანებს, გერ შეუხები იმის სელს... რა მშენებოდა გრძელი
და შექმა თითები აქვს!

— და ცივიც! დაუმატა სტენიომ, ლაპარაკში გართულმა.

— მაში თქვენთვის მოუცია იგინი? შეჭერა გაანჩხლებულმა
მაგნუსმა.

— განაგრძელე ლაპარაკი, უთხოა სტენიომ ბრძანებლობის
ხმით, და დაამტერდა ისეთის დაშტერებით, ომელიც მაგნი-
ტიურად მოქმედობს უგუნურ კაცზედ და პირუტყებზედ. შემ-
ცდარი გადატითოდა და მორჩილებით განაგრძელა:

— მარტო ერთი ის მოფიქრება, რომ თავის დღეში დე-
ლიას გერ დავისაკუთრებდი, მაგლეჭინებდა მე თმასა, ვსედავდი
მოძღვარის შესამოსელს, ვსწეულიდო ბედსაც და უკერას.
მაშინ... ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! კლესის ბნელ კუთ-
სიდან წარმოდგებოდა ახრდილი, მომიასლოვდებოდა, გარდმომ-
სგევდა სელებს... ტუფილად-და პეჩედრებოდი თავი დაენებებინა,
დაუცდია ჩემთვის ღვთის კედრება მაინცა, ცოდვების მონანება,
არა, ალარას მოისმენდა, გამახვევდა თავის შავს თმაში და ღი-
მილით მიცეროდა სახეში. ასრულ კებროდი მე შეუბრალებელ
ახრდილს, იქმდინ სინამ უგონოდ დაკეცემოდი საკურთხევლის
კიბზედ. სან მრავალი ლოცვის და ცრუმლების ღვრის შემდეგ,
კროულობდი მოსკენებას, დაქანცული, მიბინარებული მოგიდოდი
ჩემს სუნაკში. იცით მაშინ კიდევ რას მოიგონებდა ხოლმე დე-
ლია? ის ჩემზედ ადრე შეკიდოდა სენაკში, და ხალიჩას ჰეჭ
მოახერხებდა დამალეას, ანუ კედლის საათში, და ან ფანჯა-
რასთან დამდგარს იასამანის ბუჩქში; ლოცვაზედ რომ დავდგე-
ბოდი, ის უცებ გამოვიდოდა უკანიდან, მომეპარებოდა და გარ-
დამეხვეოდა უკაცზედ, ზოგჯერ ჩემ ჰეჭაგებშიაც ამოდოდა, —
ჩემს გაციებულ განმარტებულ ჰეჭაგებზედ! როდესაც მიკუახ-

ღოვდებოდი ქვეშაგებსა, ის წამოდგებოდა საბიძან და გარდ-
მომიწევდა თავის მკერდს გარდასასკეპლად... ოჯ! რა რიგად
დავიტანვე! რას მოვესწარ! ოჯ, დედა-კაცო! ოჯ, თქნებავ! ოჯ,
გაუმაძლარო სურვილო! რა მიუავი?

— მაგნუს! უასრა გამწარებულმა სტენიომ: — განუმდით! მე
სისხლი თავში ამივარდა თქვენი სიტყვებისაგან. მხოლოდ ბე-
რის გარეუნილ წარმოდგენას უჟღდიან აგრე დასძრახოს და
წაბილწოს ლელია!

— არა, სოჭვა მღვდელმა: — ჩემს ოცნებაშიაც კი არ წამი-
შილწამს ისა. მე მამაცურად კებრმოლე მაცთუნებას, მრთელი
ჩემი სიცოცხლე და სული შევსწირე ამ ბრძოლას, ლელიას
აჩრდილი კი უოკელთვის წმინდათ რჩებოდა იმ საშინელ დამის
მოსახურებათა შორის. იყო იმისთვის დღესიც, როდესაც დონე
მოღებული კეკითასებოდი ჩემს თავს: რატომ არ შემიძლიან მეც
კიურ ბედნიერი, თუნდა კრის დღეს კაცობრიულ ბედნიერე-
ბით? ზნეობრივ სიკედილისათვის რად გადმიგია თავი? რომელ
ზღაპრულ მომავალ ნეტარებისთვის უარ-ჟუოვ მე ამ ქვეუნიურ
ხვედრს, — ჩემს ბედნიერებას? სხვანი ხომ არიან ბედნიერნი,
კიდრებ გაგონილის ან ამოკითხულს უუკეშმარიტეს მსჯელობას.
ჩაგონება ბავშვისა მის გრძნობათა შეუხებლად, ისეორეუ მუქთი
შრომია, როგორც წელის ნაევა. მაშასადამე საყმაწვილო უურ-
ნალის მოვალეობაა უხატავდეს ბავშვს ნაცნობ სურათს, ნაც-
ნობ გარემოებას, ექვმდეს ცხოვრებას, რომელშიაც ტრა-
ლებს თვით ბავშვი. ბავშვის პატარა არსება გარემოცულია ათას
გვარ შთაბეჭდილებათა მიერ: მათში ზოგი აქვს მაზედ კეთი-
ლი გავლენა, ზოგი მაკნებელი. ბავშვი ვრ არჩევს ერთს მეო-
რისგან, ერთგვარად ემონება ერთსაც და მეორესაც. აი აქ არის
საჭირო წიგნი, უურნალი, რომელიც მას უნდა სელმძღვანე-
ლობდეს, უხსინიდეს ნაგრძნობ შთაბეჭდილებათა, ამაგებდეს ერთს
და აუგარებდეს მეორეს.

ამ გვარი მთავრობება საყმაწვილო უურნალის სდების ვალად,
რომ იგი უთურდ ეროვნულ, ნაციონალურ ხასიათისა
იქმას. ბავშვს არა აქვს ჯერ იმოდენად გახსნილი ანადოგიუ-
რა მაჯელობა, რომ შექმდოს უცხო ერთს ცხოვრებიდამ აღე-
ბული ფაკტების წარმოდგენა და შედარება მისი ნანახთან და
გაგონილთან. ეს ხშირად დიდებისთვისაც მნელ საჭმეს შეად-

გნეს. მაშასადამე საყმაწვილო უურნალმა თავის კატეხიზმოს შირველ მუხლებიკე უნდა ჩაიწეროს: სამშობლო ნიადაგი, ეროვნული ხასიათი. უნდა ეცადოს ბეჭდოს უმეტეს ნაწილად ორიგინალური მოთხოვნა, ამბები. მხოლოდ იშვიათად შეიძლება მიეცეს ადგილი ნათარგმნის, ისიც უსათუოდ რომელიმე უცხო ერის გამოჩენილ მწერლის ქმნილებას. ეს კიდევ ცოტაა. თარგმნის დროსაც, უნდა ამოირჩიოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც უფრო მეტს საზოგადო, სახალხო ელემენტს შეიცავს. ჩვენის აზრით, თუ თარიღინალურ მოთხოვნას მცირედი ღირსება მაინცა აქვს, ერთი ბეწო თვალში წყალი მაინც უდგა, უფრო სახდო და უტუური ზედ-გავლენა ექნება ურმაზედ, კიდოე საუკეთესო თარგმანის; რათა? იმიტომ, რომ სამშობლო ცხოვრებიდამ ამოღებული სურათი, ჭავტი ბავშვს ესმის; ის ამბავი, ან იმ გვარი მაინც, თუ თითონ არა, მის ბიძა-შვილს მაინც გადახედია, ან მოწამე მაინც ყოფილა აღწერდლის სახარულისა და ან უბედურებისა, თუ თითონ არ გამოუცდია; და თუ ეს ასეა, მის, ამ შემთხვევაში ესმის ის მოსაზრებანიც, რომელიც ავტორის გონებიდამ გამოუწევდა აღნიშნულს ამბავსა და გარემოებას. და თუ ესეც ასეა, მაშასადამე იგი ამგვარსავე შემთხვევაში სრულიდ მისცემია დაბეჭდილის სიტუაცია ზედ-გავლენას და უურნალსაც თავის ხამდევილი დანიშნულება შეუსრულება.

უკველიკე ზემო ნათევამი. შეეხება ჯერეთ ისეგი შატარა ბავშვებს, მაგალითებრ 6 წლიდამ გიდრე 8-დე. უპტელია, რომ რაც შემდეგ ბავშვი წამოიზდება, შესაძლო გახდება მაზედ იქნიოს გაცმა ზედ-გავლენა მსჯელობითაც: აქ ცოტათი არ არის მცირდება ის მოთხოვნილება, რომ ბავშვს უნდა ემასლაათოთ ჭავტებით, სურათებით და არა ჩაგონებით, თუმცა კი ისეთი

დიდი განსხვავება არ აცის, რომ პირველ პირობას არ ეკავოს ისევ უპირველესი ადგილი. რომ ამ შერით აუკედარება არ იყოს სოლმე, საუბეთესო საყმაწილო უურნალები აარსებენ რამდენსამე განცოფილებას: განცოფილება სულ პატარა ურმა-თათვის, განცოფილება ბავშთათვის და ბოლოს მოზდილ ურმა-თათვის. «ნობათმა» თუ არ შემოიღო ეს წესი, სწორედ დი-დად და მაგრა. მოსდის მშობელს, რომელსაც ჰყავს 7 წლის ბავშვი, «ნობათი»; აა იცის იმან, რომელი წერილები წაეკით-ხება მის შეიღს უკნებლად და რომელი არა? სომ ვერ ვიფიქ-რებთ, რომ «ნობათი» უთუოო უოულგან აღმზრდელის, მას-წავლებლის ზედაშედევლობის ხელმძღვანელობით იქნება წაკით-ხეული. ეს სომ ფუჭი ღრწება იქნება. უმეტეს ნაწილად იგი უნდა ჩაუვარდეს საბრალო ურმას სელში და მან თითოს ეძილს საჭირო საზრდო. უნდა მან თითოს, იქნება 7 წლისამ, მოჭ-კიდოს «ფომ-კაცს», ან ცჟერის თვისებას» სელი, იკითხოს, ვითხოს, კერა გარეოს-თა და მეტე მოიცროლოს წიგნი და სამუდამოდაც შეიძულოს.

მეორე საგანი, როგორც მოგახსენეთ, თუმცა პირველ-ზედ მსუბუქია შესასრულებლად, მაგრამ აქაც სიიფრთხილეა. სა-კირო. არ შეიძლება ბავშვს ასწავლო ის, რამაც ამ საათში თქვენ გონიერო გაიელეა. უნდა იქმნას მოვიქრებული და გან-საზღრული, რა გვარი ცოდნა უფრო საჭიროა ბავშვისთვის; რას უფრო შეითვისებს და რა უფრო არგებს და ასიამოვნებს. ურმას. შემდეგ ამისა ეს ცოდნა უნდა დალაგდეს წესისაბორ, სისტემაზედ. უნდა გადაწყდეს ვერ რა ასწავლებოდეს და შემ-დეგ რა. ხომ შეუძლებელია უკედაზრის ერთად შესწავლა და გარება, არ უნდა იქმნას დავიწყებული ამ დროს შედაგოვიური პრანციპები: ვერ ადვილი, მერე მნელი, შემდეგ უმნელესი; ვერ

ის, რაც ახლოა, რასაც იცნობ და შემდეგ შორეული საგნება და მოვლენანი; ჯერ მარტივი და ადვილი ასახსნელი და გასაგები მოვლენა, შემდეგ რთული და ძნელი გასაკები.

ბუნება და ხალხი, რომელმაც ტრიალების ბავშვი ჰქალავენ ათას გვარ გარემოებათა, ათას გვარ შემთხვევათა, რომლის შეგნება და შეაწავლა უპირატესად უკულისა საჭიროა ბავშვისთვის, ცხოვრება ბევრს რასმე ასწავლის გაცს; აი ამ ცხოვრერების თანა-შემწედ უნდა იყოს საყმაწვილო უურნალი. იგი უნდა შეეღოდეს ურმას, უნდა განუმარტოს ის გარემოება და შემთხვევა, რომელიც მის გარშემო სწაომოებს, რომელსაც ის სცდილობის შეიგნოს, მაგრამ თავისთავად კერ მოუხერხებია. ამ გვარი ცოდნა ბავშვს მალე გამოადგება, იგი მალე მოახერხებს მის ხმარებას და მით გაეღიძება გულში ღრმა სიუგარული და პატივის-ცემა სწავლისა და მეცნიერებისადმი. რასაგარებადა, ქვეყანაზედ ბევრი რამ არის, რაც უნდა გიცოდეთ, და რაც შემდეგ კიდეც დაგვტორდება, მაგრამ მაინც ამ ცოდნის შეძენაშიაც უნდა გვასხოვდეს, რომ შევისწავლოთ ჯერ ის, რაც ახლოა და რაც ასე თუ ისე ჩემ შეგვეხება და შემდეგ ის, რაც შორის არის.

* *

იმის შემდეგ, რაც ზემოთ მოვიხსენეთ, როგორც ჩვენთვის, ისე მკითხველისთვის მნელი ადარ იქნება გადაუკლოთ თვალი ჩვენ ცხობათსა, დავინახოთ მის აფ-კარგიანობა და მივცეთ მას შესაფერი ადგილი საყმაწვილო ლიტერატურაში. მოუვანილი საზოგადო მსჯელება ბევრად შეგვიმოვლებს გზას და აგრძელებს უაღი დასკვნესა და მოსაზრებასა.

რადგან ასეთი კრცელი მსჯელობა ცხობათზედა ჩვენის მხრით შირველი და უგანასკნელი იქნება (შემდეგში შეიძლება,

მოკლე ანგარიში წარუდგინოთ მკითხველებს) ამიტომ შეუძლებელად მიგვაჩნია, რომ მისი («ნობათის») ისტორია სულ თავიდამ არ დავიწყოთ. წარსული წლის დამდევს რომ წავიგთხეთ «დოობის» ფურცლებზე ადლ-ნახევრიანი განცხადება «ნობათის გამოცემაზე», ჩვენ ვსჯიდით: სად გაგონილა, ვის წარმოუდგენია, რომ კაცმა, რომელსაც წარსულში არავითარი შრომით, არც ჰედაგოგიურით და არც საზოგადო ღირებაზურულით, არ დაუმსახურება სახელი, კაცმა, რომელსაც ისე კერი იცნობს საზოგადოება, როგორც რომელსამე ქიზიუელს სესაბას, ამისთანა კაცმა მეთქმი მოჭედოს ხელი ისეთ მნელს საჭმეს, როგორიც არის საუმაწვილო უურნალის გამოცემა. ამ გვარი საჭრიველი ჩვენ დიდ კადნიურებად ჩავთვალეთ. კამბობდით: ეს არის პირ-და-პირი დაცინკა საზოგადოებისათ. მაგრამ ვისაც კი ჩვენი ჭაზრი განვეზიარეთ, უკელამ დაგვამშვიდა, უკელამ ურწმენო თომა დაგვიძისხა. «რა უუროთ რომ ეგ აგრეალ, უურნალს სულს მეტოუბული რედაქცია ჩაუდგამსო.»

«დამოუკიდებული მონაწილეობა უურნალ «ნობათს» — დალადებდა განცხადება — აღუთჭეს: თ. აკ. წერეთელმა, თ. რ. დ. ერისთავმა, გ. ე. წერეთელმა, თ. ნ. ტ. დადანმა, ი. ბაქრაძემ, ე. რ. გაბაშვილისამ, ა. მ. მოჩხეუბარიძემ და სხვათ.» სწორე მოგახსენოთ, ვისაც გინდათ იმას შეაცდენს ეს სახელები. კურ მარტო აგავი, ერისთავი, მოჩხეუბარიძე და ე. გაბაშვილისა საკმარისნი არიან, რომ უურნალის საჭმე კარგათ მიდიოდეს. ეს უურნელად ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც კვირეულიდით და კურიერიბდით, რომ მოუკანილი მწერლების სია არის მხოლოდ რეგლამა. ჩვენი წინასწარმეტუკელება აღსრულდა. ჩამოთვლილი მწერლების ნაცვლად «ნობათში» გამოჩნდნენ: რეკიმიკილი, ცახელი, რეკსამე, ლილიჭუტი, სეკელი, ხეპელი, მან

ოთ, ნინო, მაღაროელი, წყალტუბელი და სხვანი, სულ ახალ-გაზდა უძარვილები, რომელთა შორის უმეტესიმა ნაწილმა იჭირ «ნობათში», აიდგა ფეხი. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, სია-მოვნების მეტი არა გამოიწია-რა არა ვისის მხრით. ჩვენ ძა-ლიან კერწმუნებით ახალ-გაზდობას, მაგრამ არ შეიძლება არა ვსტკვათ, რომ მის შრომის მხოლოდ მაშინ ეჭნება ნაუთიი, როდესაც მას სწინამძღვრობს ან შეგნებილი და განვითარებუ-ლი პირი, ან იგი, ახალ-გაზდობას, მუშაობის კოლექტიურათ, ერთად. მხოლოდ ამ თუ შემთხვევაში ეჭნებოდა «ნობათს» კე-თილი მომაკალი. სამწუხაორი როიგე მხრით ახალ-გაზდა უურ-ნალი დაობლებული აღმოჩნდა. არც ერთი, არც მეორე. ამ გვა-რი განსაკუთრებული მდგომარეობა მაღვე იგრძნეს თვით «ნო-ბათის» თანამშრომლებმა და ზოგმა მათგანმა უგვე დასტოა სამუდამოთ უურნალის ფურცლები. საკმარისია დავასახელოთ მაგალითისათვის, ოუნდ ბ-ნი რევოლუციი, რომელიც ერთი გვარიანი თანამშრომლებანი იყო. დაღ, ეს გარემოება ღირს-შესანიშნავა «ნობათის» ბედ-იღალისათვის. იგი დღეს ასის თბოლი, თუმცა არ აკლია თანამშრომლები, ნიჭიერებიც კი. მას არა ჭეავს ისეთი პირი, რომელიც აძლევს დოლ-გამოშე-ბითს გამოცემს განსაზღვრულს სასიათს, მიმართულების, სის-ტემას და მით არჩევს მას უბრალო წიგნის და კრებულისაგან. ბ. ა. ს. ღულაძე გარგია, როგორც გამომცემელი. იმის მეა-თედი ცოდნა და გამოცდილება რედაქტორობაშიაც რომ ჭი-ნოდა, მაშინ «ნობათი» სამაგალითო უურნალი იქნებოდა და შინაარსითაც დაემჯობინებოდა უმეტეს ნაწილს რესულს საუმა-წივილო უურნალებისას, როგორც ესლა სჯობია მათ გარეგნო-ბით, სისუფთავით.

ოთხი გამოსული ნომრის ოდნავ გადათვალიერებაც კი

განწმუნებთ, რომ «ნობათის» ოქდაქტორს არა აქვს გამორჩეული არავითარი პლანი, არავითარი სისტემა, არა აქვს შემუშავებული ელემენტარული შედაგოგიური პრინციპებიც კი. კი ედაქტ იმის თქმასაც, რომ მას კარგად არ ესმის რა არის შერიცოდული გამოცემა და რა არის უბრალო წიგნი, რომი განსხვივდება შირველი მეორისაგან. როდესაც დრო-გამოშვებითი გამოცემას ასეთი უბედობა ატყდება თავის, მაშინ მისი საქმე გერას დროს ერთ წავა რიგიანად, თუნდ რომ თანამშრომაჟები ძალიან ნიკიერნიც იყვნენ. მაგალითებრ, თ. აკაკი წერეთლის, თ. რ. ერისთავის და ცახელის ნიკში ეჭვს კურავინ კერ შეიტანს, მაგრამ ამათი რა ბრალია, რომ ბ-მა ოქდაქტორმა შოუსივა მათ ერთ შინაარსიან, ერთ საგნიან მოთხოვთებებს და სულ ერთ ნომერში მოაქცია. «ჩიტი» რაფ. ერისთავისა ძალიან კარგია. მას არ დაუკარდება არც «ჩიტი» ცახელისა, მზურამ ამ ავტორებისა რა ბრალია, რომ ოქდაქტორმა ღრივე ერთ ნომერში, ერთი მეორის გვერდზე დაბეჭდა და მით როიკეს დაუკარგა დირსება. ამ გაუემოებამ ერთი გაზეთის რეცენზენტის მხრივ ძალიან მართლიანი ოსუნჯობა გამოიწვია. «ნობათი» ფოველ თავის ფურცელზე სულ ჩიტებზედ ლაპარაკებს, თითქმი იგი იყოს სპეციალური ლოგისო «პირუტეეთ-დამცის-ლო» საზოგადოებისათ. მართლაც და «ნობათის» ჩენ ცხოვრებაში ჩიტების მეტი კერა ძოვნა-რა. მისი წამკითხველი ითვიქებს, რომ ქართველი ბავშვები მარტო ჩიტებს იჭერენ და ავტორები, სხვა არა ცეკვა-რაო, არც უბედურებაა მათში, არც ბედნიერება, არც სისამართვი, არც ამსახავობა, ერთის სიტყვით არავერი. სამ წიგნში თავს გაბეზრებენ ზედა-ცედ: 1) «საბრალო ჩიტი—ლილიშუტისა, 2) ჩიტი თოხი-ტარა» —

აგავისა, 3) «ჩიტი» — რ. ერისთავისა, 4) «ჩიტი და უმაწვალები» — ცახელისა.

«ნობათის» სანიმუშო ნომერში კარგი სტატიებიც იყო, აგრც. სხვათა შორის იქ იყო დაბუჭიდილი გეოგრაფიული წერილი. განხსაძინელისა, ორმედიც სრულიად წინააღმდეგ შლანზე იყო დაწყობილი, კიდრე ამას თხოულობს ახლანდელი მეოთხა ამ საგნისა. ჩვენ განხსაძინელთან საქმე არა გაჯერა, გერგ მოვთხოვთ მას მაინც და მაინც რაიმეს ცოდნის, მაგრამ, რომ პედაგოგიური უურნალის რედაქტორმა არ იცოდეს, რას თხოულობს ახალი მეოთხა რომელიმე საგნისა, ეს კი მეტისა მეტი იქნება თქვენმა მზემ. მაგრამ, გსთვევათ არ იცი, რომ არ შეიძლება გეოგრაფიის პირ-და-პირ შესწავლა, კიდრე გეოგრაფიული ტერმინები. არ იქმნებან შესწავლილნი, გსთვევათ არ იცი, რომ საყმაწეილო გეოგრაფიული წერილები უნდა ჰგვინდეს მგზავრის წერილებს, რომ გრანებით მოგზაურმა ბავშვმაც ცოტათ თუ ბევრად თვალ-საჩინოდ ისწავლოს გეოგრაფიული ღობიერები. თუ არ იცი უგელა ეს, კამბობთ, ცოდნის, სწავლის სურვილი მაინც ნუ გჯწება დახშული. კეთილ-გონიერი კაცი იხელმძღვანელებდა ბ-ნი იაკობ სკომონიძის რეერით მაინც და შემდეგ გაისწორებდა გზას, მაგრამ არა, «ვნათ მე ვნაიო, ვნდათ მე ვნდაი»-ო და შემდგენ ნომერში წარუდგინა, «კახეთია-ს შემსწავლელ ბავშვებს, «იმერეთი», იმა-გვარიათ დაწერილი, იმაგვა «ჩრდილოეთით მთა-კრებილებით».

ლილიპუტი, აქტორის თავ-მოუკარეთბით გატაცებულია იქნება კერც კი ჰერმნობდა რა უმარილო რასმე სწერდა, მაგრამ რედაქტორს რამ გაუწევიტა ერთი ბეწო მაინც პედაგოგიური უნისკა, რომ დაუთმო თავის უურნალში ადგილი ასაბ-

რალო ჩიტის». გ. წერეთელი ძალიან დამსასურებული მწერალია, მაგრამ «ნობათის» რედაქტორმა აბა სულის-ქვეშა თქვას, რომ არა თუ ბაკშვებია, არამედ თვითონ ესმის გაჭიანურებული და პროგინციალიზმებით სავსე «ლომ-კაცი». პროვესორი ბაგდანითვი კარგი მწერალია, მაგრამ მისი ნაწერებიდამ «გატეგების და მელების ომისა ამომიჩევი კი სწორედ შორს-გამჭვრეტი არ უნდა იყოს, რადგან (მოთხოვთა) ეკუთვნის ერთს უსურესთავანს. რა კი თარგმანზეა საჭმე, რედაქციას რად დაჭვიწერებია რუსების წარჩინებული საბავშვო მწერალი ქალბატონია ანენსგაა, ტოლსტოი და სხვები. სამეცნიერო წერილებშიაც იგივე უთავ-ბოლობაა. მოიტანა შემთხვევით მაღაროელმა პოლბერის ზოოლოგიდამ ნითარგმნი პირველი გაგეოლი — დაიბეჭდა. რამდენს აღარ ელოდება მკითხველი ამ პოლ-ბერს, მაგრამ სად მოელოდება. «ნობათისა-თვის პლანი და სისტემა არა სუფეს არავერში. ცოტათი გაგემათ ზოოლოგია, ისიც კმარა, ამ ასლა ფიზიკა ინჟინერი — «ჭარი და მისი თვისებანი». ანთბეთია რას დასდევს, რომ ჭარი ისეთი სხეულია, რომელიც გვიან იპირობს ყრმის უურადლებას და მაზედ წინ სხვა საგნები ენსირებიან თვალში.

ენის სისუფთავეს, სიწმინდეს უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მსრითაც «ნობათი» უპატრონობას ჰქონდებას. არ ატყვია მას რედაქციის ხელი. ერთსა და იმავე ნომერში შეჭვდებით ცხრა წაიდის წერილებს. «უუდა»-მ კიდევ ხომ უურები გაგვიყრუა. საყმაწვილო უურნალში სრულიად არ უნდა ჰქონდეს სელი პროგინციალიზმებს, ენა უნდა იყოს წმინდა ქართული, ლიტერატურული. მაგრამ რა გვარად მოსერსდება ეს, როდესაც თვით ბ. რედაქტორი გვიწერს: «ამ ნომერს

დააგვიანდა... იქნის სახეში მხოლოდ მარტო ის საუკეთესო მიმართულება» და სხვ.

«ნობათის» დამატებას უფრო მეტად ატუვია უსისტემობა და ურედაქციობა. მოიცანა დოდიშუტმა. «სამაგალითო (თუ სანიმუშო?) გაკეთილი განმარტებითი კიოჭვისა» — დაიბეჭდა. სეკულის მოჭსურვებია წერა-კითხვის გავლეთილების დაწერა — მორტათ ეგეც, დაიბეჭდება. აკი მოწინაეე სტატია ბ. ოდაქტორისა ბძნებდა, რომ «სხვათა შორის სამაგალითო გავლეთილებიც დაიბეჭდებათ» და უპირველესად კი აჩვენის ახალთაობის აღზრდა, თუ როგორი ყოფილა იგი, ან რა მიმართულება ჭინია ძველია და ახლანდელი დროს; აღწერა ჩვენის ახლანდელის სკოლებისა, იმათი მდგრამარეობის შესწავლა... რა ნაირი აღზრდა ეძღვათ ჩვენს ყმაწვილებს თითოეულ სახლობაში.» გაიგონეთ და დაიხსომეთ: თითოეულ სახლობაშიაც! რა იქნა ეს დაპირება. «სხვათა შორისმა» უპირველესი ადგილია რატომ დაიწირა? აქაც ჩვენ თანაშმარომლებს ბრალის გვრდავდებო. იგივე ლილიშუტი, იგივე სეკული შესძლებდენ უოგელ გვარ ტემაზედ საუბარს, თუ კი მათ ოდაქცია შეუგვითავდა. მაგრამ...

«სიტუა სხვაა,

საქმე სხვაა»,

შეა უძევთ დიდი ზღვარი.

კვონებთ ნათქვამიც კმარა, რომ მკითხველი სრულიად დაუთანხმოს. ჩვენს აზრს. უოგელი ასაფი ნომერი იქნება ასაფი საბუთი. ჩვენი შესედულობის დამამტკიცებელი, ვიდრემდის «ნობათს» არ ელირსება ისეთივე ხეირიანი ოდაქცია, როგორიც მას ჟყავს გამომცემელი, რომელმაც ათას გარეგნობასთან ჩა ჩა სელი, ჩა ჩა გორი რესთველის სიტუაციც მიაკრა.

«დღისით და ღამით მოუმენდ
ნობათსა არ დაჭიცდებან!»

თთქმს ეს ისე გასაგები და სასიამოვნო იურა ნორჩი ურმისთვის, ორგორუ არის კურნალის გამომცემლისთვის.

* *

«ნობათის» მე-II და მე-III ნომრებშიაც ბრძა შემთხვევას წყალობით მოჰყოლიან ისეთი სტატიები, რომლებიც არ შეიძლება დიდის სიამოვნებით არ აღმეცდოს კრიტიკამ. ესები არანი: თუ ზღაპარი, «სესია და ივანა» — დ. რიონელისა და «მელის სრიკები» და «ისტორიული კოკორი» მღვდელი დ. ჯანაშვილისა. სასალხო ზღაპარებს საზოგადოთ დადა აღმზდები მნიშვნელობა აქვთ და რაც მეტი ალაგი დაეთმობა მათ «ნობათის» ფურცლებზედ, უფრო სასამაგებლო იქნება. ჩვენის აზრით ეს თუ ზღაპარი თავისი მნიშვნელობით, კეთილსარმედო ზედ-გავლენით აჭრებს უკულა დამატებილ ნაძალადევ მოთხოვობებს ერთად და თვითოუელს ცალგრალებულელთვის ზღაპარში არის გატარებული რაიმე ჭუმანური იდეა, უთუოთ მათში კეთილი ბოლოსა და ბოლოს სჯობნის ბოროტისა, უძლური და ნაგრული გამოუკანიშნი არიან იმ გვარად, რომ მსმენელის სიმპატიას მთლიან ისინი იშენობენ. ამას დაუმატეთ ის ინტერესი, რომლითაც ზღაპარი უოგელთვის იყიდებება საკუთხის მიერ და თქვენ მთლად გაგვიზიარებთ ზემოთ ნათელამს. აიღეთ თუნდა «სესია და ივანა» შიმშილობის დროს ამ გაცებს ძალიან გაუჭირდათ საჭმე. წავიდნენ მთხოვობათ. იარეს, იარეს და ბოლოს ერთი რამ კოდა შეური და ზოგი სხვა სორაგეული იშოვნეს. ორგორ გაიყონ? ივანას აზრით, რასაკვირველია, რო შეატე უნდა გაიყონ, რადა გან ართავეს ნაწავანადაგა ის პური და ან ერთი რას ემარ-

თლება მეორეს. სხვა აზრისაა ეშმაკი და ბოროტი სესია. იმას უნდა ისე მოახერხოს საქმე, რომ მარტო იმას დატენეს სარჩო და საწყალი ივანა ცარიელ-ტარიელი დააგდოს. პატარა მკითხველის შგრძნობელი გული ფეთქვს, სწოს, ეპრალება საწყალი ივანა, ემეტება მისთვის, როგორც დანაგრულისთვის ყოველი კარგი, ჰქონებულის გატაცებით იგი ზღაპარს და გულის ცემით ელოდება, რითი გათავდება საქმეო. აგერ სესია და ივანა, პირველის წინადაღებით კი, რასაკირველია, ამბობენ ზღაპარია. ვინც უშეთეს ზღაპარს იტყვის, სარჩო იმას უნდა დატენეს. „მე ვიცი, რომ სესია მოატყუებს ივანას, ის ეშმაკია, ის უფრო კარგ ზღაპარს იტყვის და ივანა დატენება მშერით, სწოს პატარა მკითხველი. მაგრამ დასე სიხარულის. ივანას ზღაპარი უშეთესი გამოვიდა. დავანამ აჯობა, ივანამ! იმახის ბავშვი გახარებული და ამ დროს კი მის და უნებლივეთ და მისდა უცოდინრად მის ბუნებაში დიდი ცელილება სდება. მას ენერგება სიყვარული სიმართლისადმი, სიმშეწია უძლურთა და მაშვილთადმი. ეს ზღაპარი ჩენ გაგვიგონია საფხში ცოტა სხვა ნაირად, სადაც ჭოსა და ობოლი არიან შებმულნი. სხვათა შორის იქ უფრო ცხადათ და ნათლად ისატება ჭოსა, როგორც ეშმაკის, ბოროტის და გესლის წარმომადგენელი და ობოლი გიდევ—სიმართლისა, დანაგრულისა და უძლურისა, ვიდრე ცესია და ივანების, სადაც პირველი ისე არ განსხვავდება მეორისგან და მკითხველის თანაგრძნობა ივანასადმი მალიან სუსტდება. არ ვიცით ეს ცელილება კინ შეორანა—რედექტორი თუ ავტორიმა. ამ გვარი ცელილება ბევრად ასუსტებს შობეჭდილებას ზღაპრისას.

«მელიას ხრიკებშიაც» იგივე დედა აზრია. გაქნილმა და მაცდურმა მელიამ ბევრი ბოროტ-მოქმედება, ბევრი უსამართ-

დობა ჩაიდინა, ბევრი გლეხი დასკა თვალ-ცრემლიანი, მაგრამ ლუთის მაღლით, ბოლოს თითონაც კი ხდება ნაგაზა ძაღლების მსხვერპლად. ოამდენადაც ეს ზღაპარი კარგია, იმდენად დასკვნა არ კარგა მისი: «ამ ნაირი ბოლო აქვს უოკელს გაუმაძლარს, ჯანჯალსა და მოდავე კაცსა.» ოა საჭიროა ეს ორგროშიანი დარიგება, ოდესაც მოეწი ზღაპარიც ამასკე ამ-სობს, ოდესაც ზღაპრიდამ უფრო ცხადათ სჩანს ესე-კე. დასკვნასაც რომ თქმებ ეუბინებთ, ოაღა დარჩეს ბავშვს მოსაივიქტებლად, რიღათი ივარჯიშოს მისმა გონებამ. ვინ იცის. იქნებ ეს სიბრძნე რედაქციის გურთხეულ გალამს ეკუ-კნის!?

ურმათათვის ისტორიის დაწერა წარმოადგენს უკეთზედ
მეტ სიძნელეს საყმაწვილო ღირებატურაში. ეს ჭავტი არის
ალიარებული სხვა ქვეწებში. აიღებთ თუ არა კალაპს, უცემ
ათასი სიძნელე წარმოგიდგებათ თვალწინ. უპირველესად იძალ
დება კითხვა, საიდამ დაიწყოთ: ფარნაკზიდამ, პირველი მე-
ოდიდამ და შემდეგ ისე ჩატუკეთ ბოლომდის ხროხოლოგიურ
წესით, თუ ერევლებამ ან გიორგიდამ და მერე ზეგათ ასკი-
დეთ. ამ ლისაკე პლანს აქვს თავისი გასამართლებელი და გა-
მამტკუნძებელი საბუთებიც. მაგალითებრ, რათ დაიწყო, პატივ-
ცუმულმა დ. ჯანაშვილმა ისეთი მეფიდამ, რომლის სსოვნა ჩვენ
სალეში და მეტადრე ბაჟშებში სრულდად არ მოიბრუება და
არა პატარა კასიდამ, რომელიც ჩვენზე ახლოც სცხოვობდა
და რომლის სახელი ჯერედ ისევ ტრიალებს დაუკიტერად სალ-
სის მესსივებაში. რათ უღაღატა პედაგოგიურ პრინციპს: ჯერ
უნდა ისწავლოს კაცმა და უიზო ურმამ, რაც მაზედ ახლოა,
რაზედაც მცირედი ცნება მაინც მოეტოება და შემდეგ ის, რაც
დაშორებით არის. თამარ მეფის სახელი უოველ ჩენ ბავშვს

აქვთ გაგონილი. ეს კიდევ ცოტაა. იმან ისიც კი იცის, რომ
თამარშა

«დიდუბები იქორწილა,
სადაც რომ საყდარი არი,
ასი სული ცხვარი დაკლა
და რეასი ნიშა ხარი...»

რატომ, ვიმეორებთ, აკტორშა არ მიიღო მხედველობაში
ეს ცნებანი და მათზე არ ააშენა თავისი საუბარი? მაგრამ მამა
ჭანაშვილს საჭმე არა ჭრისა პედაგოგიურ პრინციპებთან. იმას
განუზროსავს ისტორიული წერილის დაწერა და კიდეც დაუწე-
რდა იმ წესით, რა გვაუძლაც იწერება საზოგადოთ ისტორია
დიდებისთვის. მაგრამ აქაც იბადება კითხვა, რატომ არ
დაიწერ მამასასლისობის დროიდგან? აქაც ისევ რედაქციის
უკიცობის მეტს კერასა კედავთ. თუ კი ჭანაშვილმა შეს-
ძლო ისეთი მშრალი მასალის, შემუშავება და ისეთი, მაინც
სასიამოვნო, სტატიის დაწერა, როგორიც არის «ისტორიული
კოკლი» ფარნალზედ, იგივე აკტორი უფრო კარგად შეამუ-
შავებდა და დასწერდა თამარ მეურნედ ან ერეკლეზედ, თუ კი
რედაქციის მსახი ექნებოდა მიცემული რაიმე წინადადება. მაგ-
რამ, რადგან «ნობათისა რედაქციას არავითარი პედაგოგიური
მოსაზრება არ აბადია, ამიტომ მამა ჭანაშვილიც კერ გაუწეს
ისეთ სამსახურს დონებათისა შატარა მკითხველებს, როგორცაც
უჰქმებდა გაუწევდა სხვა გვარ შემოხვევაში და სხვა გარემო-
ბაში. მაინც და მაინც «ისტორიული კოკლი»-ს აკტორს ად-
გილად და გასაგებათ შეუძლიან სწეროს იმისთვის დროზე, რო-
გორიც იყო დრო ფარნალისა.

თ. რ. ერთიანობის უკანასკნელ ლექსებს ერთი სენი სდევი,
— შეუმუშავება, აჩქარება. ამის გამო ადარა ჭრისან ისინი მის-

საგე წინად-ნაწერებს. აქ თქმენ გაკვირეთ გელ სიტუვარბა, მთელი აღწერა იქ, სადაც ორი მოსწრებულად ნასმარი სიტუვის მეტი არა უნდა თქმულიყო-რა და მეტის-მეტი უსუფთაობა რითმაში. არ მაგალ. თუნდ ეს:

«შენ არ ამბობდი, დედილო, რომ ჩემთვის არის მკვდარია, თურქმ ზეცას კი ცოცხალა და ფუფალასთან არია?...»
ეს ორი სტრიქნი არის რესულის: «Въ лучшемъ мірѣ
наша Лиза, ты сама намъ говоришьъ — мѣзоятъ. ან ეს:

«არა, დედილო, დედილო, იქ, ფუფალასთან ასეა:
ანგელოზები გალობენ, ანგელოზებით სავსეა...» (აა?)

«Мама, мама! въ Божьемъ небѣ
Божьи ангелы поютъ...»

«ჩატი» მე-III ხომერში ცოტა უფრო უგეთესია, ვიდრე დედა და შვილებია, რომლის ბოლომძის წაკითხვას სწორედ დიდი მოთმინება უნდა, თუმცა ლექსი შესდგება სულ პოხა სანასაგან. იმედი უნდა კიქონიოთ, რომ თ. რ. ერისთავი უფრო მეტს უურადღებას მიაქცევს თავის ლექსების შინაგან და გარეგან ღირსებათა და შემდეგში მრავალ ჩინებულ თითქმის სახალსო ლექსთა აკტორი არ მოგვაკლებს საბაკში სურათულ ლექსებსაც.

«გაზაფხული» ი. ბაქრაძისა ძალიან სუსტია. აკტორი ისეთი წამლებით და ფერებით გვისატავს ამ მშენიერს დროს წლისას, რომლებიც სრულიად არ შეადგენენ მის ქარასტერისტიკას. რვა სტრიქნიან ლექსში უნდა დასასედებული იყვნენ ისეთი თვისებანი, რომელიც მართლა გაზაფხულს ეკუთვნიან მარტო და უკომენტარით უნდა გუგბენებოდნენ, რა დროც ისატება ლექსში. ბ. ბაქრაძეს გაზაფხულში კი რას ვხედავთ:

«ლაუგარდ ცაზედა მზე ბრწყინავს...
ხმა ისმის სამხიარულო;
უკავილებით გელი ფშვინავს...
—გამარჯვება (,) გაზაფხულო!»

რათარ? ჩვენ კიტუკით: გამარჯვება, ზაფხულო! და ამით
ლექსის არა დააკლდება-რა. იგივე მოვლენანი ზაფხულშია არაან:
სულ სხვა არის, როდესაც ამბობენ:

«ტუქ ესხმება ფოთოლი,
აგერ მერწხალი ჭყივის,
ბაღში კაზი ობოლი
მეტის დსენითა სტირის!»

აქ საჭირო არ არის «გამარჯვება». ისეც ცხადია: ურვე-
ლი სტრიქონი, უოველი სიტუკა ამოკიცებს, რომ გაზაფხულ-
ზეა ლაპარაკი და არა ზაფხულზე ანუ შემოდგომაზე.

თოსისტრარა-ც ძალიან ხაძალადევია. დედა და შვილი აქ ისე
ლაპარაკობენ, თითქოს ეშინიანთ ერთმანერთიან, სიტუკა არ აგვა-
რისოთ, სცდილობენ ერთმა მეორეს, აფაბას სიბრძნეში. ჩვენ
კერ წარმოგვიდგენია ისეთი დედა, რომელიც ასე, ბერძნული
ენის მასწავლებელივით, უქადაგებდეს თავის საყვარელს შვილს:
«მაგისი რა ბრალია... ისევ შენა სარ დამნაშვე!.. ეგ ჩიტები
რომ თავის ხებაზედ იყონ(?!), იავისუფლად, მაშინ გაფრინ-
დებოდენ და აღარ შეუშინდებოდეს კატას; მაგრამ ახლა კი გა-
ლიაში ჩაგიმწევდევია, გასაჭცევი გზა არა აქვთ და რასაგვირ-
კელია, შიშით გულები უსჭდებათ! და მასთ ანაც ახლა დროც
(ორი ცცა რა საჭიროა?) არის მაგათი გადასხმის!...» ცოტა
შემეგრით: არა, შვილო, დიდი სახია ტუკობაში იყო, თავის-
უფლება არა ჭირობა და, ფრენით ჟინს რომ მოიკლავს, ისევ
დაბრუნდება!...»

ეს მოძღვრება უმართდო ლექციას თუ ჭიავს, თორუმ დედი, მასლაათს საყვარელ შვილთან კი არას დროს.

საზოგადოთ უნდა შეგნიშნოთ, რომ ძალიან ძნელია დედა-შვილის დასახვა საბავშვო მოთხრობაში. ოვით უნიჭირება საყმაწილო მწერალიც კი ხშირად ერთდებან ამ საფრთხეს. მართლაც და დიდი სივრცობლე უნდა, რომ საყვარელი დედა უგრძნობელ, უსულო მაშინად არ გადაუქციოთ სახრალო შვილს, რომ დედის ენით თქვენმა სიბრძნემ არ დაიწყოს ღაღაღება, მშობლის ლექსებით თქვენი ტენდენცია არ გაატაროთ. უფრო ადგილია, როდა თვით ბავშვები გამოდიან სცენაზედ. აქ მწერალი უფრო მაღა მიწვდება თავის სიყალბეს და აღდენს მას თავიდან.

პ.ნი ცასელის «უმაწვილი და ჩიტია-ც იმ გვარივე კი-ლოთი არის დაწერილი. მის გამო, რომ ეს მოთხრობა გადმოკეთებულია და შიგ არის შეტანილი უცხ. ელემენტი, ჩვენებური ბავშვისთვის უავლად გაუგებარი, იგი ხსენებულ ნაკლებოვანებასთან, ჰქონდგავს სხვა უოგალ-გვარ ღირსებასაც. ფრანციზულიდგან გადმოკეთებული მოთხრობა გვეუბნება, რომ ბავშვმა დაიჭირა ჩიტი და მიიყვანა შინ. დედა ეუბნება: შვილო, ეხლა უნდა მოვიდნენ და ჩვენ სუკულანი დაგვიკირონო და მზგ ჩიტივით, თუმცა საჭმელს არ მოგვავლებენ, მაგრამ მაინც საბურობილები კი ვიქნებით. ამ მოვლე ფეხს ტუფილით ბავშვი ძლიერ შეწუხდება და უშებდა მაშინვე ჩიტს, რის შემდეგ, რასაგარებელია, დედა ჰქონდნის შვილს. მორჩა და გათავდა. მსელად დასაჯერია, რომ ფრანციზული ბავშვი მართლა ასეთი საწყალი იყოს, რომ უოხრან დაგიჭერებო და იმანაც ტირილი მორთოს: «არიქა, მიშელეთო», მაშინ როდესაც არავითარ საბუთს დაჭერიას ის კერსადა ხედავს. მაინცა და მაინც ამ

გვარი გარემობა ჩვენებული ბავშვისთვის ყოვლად გაუგებარია. ქართველ ერმას ამ გვარი სურათება არ ახსოვს, არ უნახავს და მაშინვე იყითხსავს: ვინ დაგვიწყერს? ვის დაიწყერენ? რათა? «ვის რა ვირთ მოვწარეთ?» ის უფრო წარმოიდგენს, რომ უთხრათ: ღებული ჩამოსულან და აგვიკლებენო, ან სხვა რამე ამ გვარი. და თუ ქართველი ბავშვი კერ იგრძნობს იმ ტანჯვას და იმ შიშს, რომელსაც მისი მოთხოვობაში აღწერილი ამხანაგი ჰკრძნობს, მაშინ მთელი მოთხოვობა ჰყარგავს თავის მნიშვნელობას, იგი ხდება ცარიელ სიტყვად, რომელსაც თუ გნებავთ ქართველი ბავშვიც გამიერებს, მაგრამ რა სანატორელია, რომ ეხლავე გაუკლოთ მას ჩინეთის კედელი სიტყვასა და საჭმეს შეა, ამ სენს ისეც შეეტება, რა კი მოიზდება; ჩვენი საზოგადოობრივი ცხოვრება ამას ასწავლის თავის დროზე და ჩვენი საქმეა ეხლა წინ აღვუდგეთ ამ მისწრაფებას და არა ხელი მოუმართოთ მას.

«სანდროს სიყრმისა» წაგითხვა არ ავნებს ბავშვს. ამის მეტი ღირსებას დღისით რომ სანთლით ეძიოთ, მაინც კერ უპოვნით მას. იურ სანდრო, მერე? მერე და ჰყვანდა ორი გამდელიო. მერე? მერე, ერთხელ სანდრო ჩაისა ჸსვამდა და იმ «პლუტო» იმან ი ჩაი ზედ ახალ ახალუხზე კი დაიქცია. მერე? მერე, სანდროს დედა ამისთვის გამდელს ძალიან გაუჭავოდა, მერე სანდრომ ღორი დაინახაო, გარს გოჭები ეხვიაო, მერე თევზი ნახაო, მერე ხვლივი ნახა და ისიც თევზი ეგონაო, მაგრამ მოჭამაგირებ უთხრა: შე, სულელო, ეგ ხო ხვლივიაო. მორჩა და გათავდა. ეხლა სანდრომ თევზიც იცის, ხვლივიც. გაიცნო ბუნება. რა კარგი მასწავლებლები უოფილან ე ჩვენი მოჭამაგირები! მერე? მერე სულ ამ გვარად და სხვა და სხვა.

**

მე-II ნომრის დამატება კარგია. საზოგადოთ „ნობათის“ დამატებანი სფრაბიან თვით ყრმათა საკითხსავ წიგნებს. მაგრამ ეს მსოლოდ ამტკიცებს იმ ჭავტს, რომ დიდებისთვის წერა უფრო ადვილია, გიღრე ბაჟშებისთვის. „ზრუნვა ადამიანზე დაბადებამდის“ და „ადამიანი დაბადების დროს“ არა უსარგებლოდ იქცებიან წაკითხულნი ჩვენი მასწავლებლების და მშობლების მიერ. ბ. წყალტუბები ბერის ამ გვარ დალაგებულ წერილების დაუწერს შემდეგ შიაც «ნობათს», სასურველია მხოლოდ, რომ ამ პედაგოგმა, გათამამებულმა საზოგადო ნდობით, ასეთი აზრები არ მოგვითხროს დოგმატიურის გილოთი, რომელთ სიმართლე სადაც და საბასოა, მაგ. «ძველი დროის მეცნიერნი ამბობდნენ, რომ საღი და ძლიერი სული მხოლოდ საღ და ძლიერ სხეულში იმუოფებათ, და მართალიც არის (ამბობს წყალტუბები): თუ ადამიანი სხეულით განვითარებელი და უძლურია, მაშინ, უეჭველად, მისი სულიც სუსტი და უძლური იქნება.» პატივცემული პედაგოგი გვარტმუნებს, რომ «უეჭველად» ეს ასეათ. უკაცრაოდ კი და ეს აზრი, კვლებთ დიდი ხანია უარ-უოფელია, და ასაღი დაკვირვებანი სრულიად წინააღმდეგს გაჩვენებენ. პირ-ოქით ყოველ ფეხის გადადგმზე შექვედებით, რომ, რაც სხეული სუსტია, მით მასში სული ძლიერია. ეს ასეც უნდა იყოს. ბავშვი სუსტი აგებულებისა, ჩამოიხმადლი ამ მხრით ამხანაგებზე, რათა არ იყოს მათ მსრივ დაჩარული, ცდილობს რომ სულით მაინც მათზე მაღლა დადგეს; ცდილობს, რომ სწავლაში მაინც პირველი იყოს, თუ თამაშობაში ის უკანასკნელია. ამასრაბაში დროს, რომელსაც მისი ამსახავნი ანდომებენ სხეულის კარჯიშობას, ის სმარობს გონების კარჯიშობაზე და უსწრობს

უკულის ამ მხრით. ასექ სკოლაში. წარუჩებაში? აქაც უკულის ეჭნება შენიშვნელი, რომ კაცი, წარმომადგენელი მაღალი სულისა, ასში ითხმოდა-ცხრამეტჯერ არის სხეულით სუსტი და უძლური.

«სანიმუშო გაკვეთილს წერა-კითხვისაუს აკლია რედაქტორის ხელი. იქნება ბ. ხეველმა ქართული ნაკლებ იცოდეს, იმას ვინა სოსოვს ანგარიშს, მაგრამ ბ. ა. ს. ღულაძემ, რა კი იქისრა ტვირთი რედაქტორისისა, აატომ კიდეც არ მწევა უფლის. ვერ არის ვარგი ქართული: «ჰქვია ამ ხელს»? აამვირე ცერიდა... თითების ბოლოებზედ რა გვაქვსა? და სხვა.

თვით გაკვეთილს ვერ დაკემდეურებით, ეტყობა მისი აკტორი უფრო პედაგოგ-პრაქტიკი უნდა იყოს, გიდრე თეორეტიკი.

* *

ერთხელ კიდევ რომ გავიხსენოთ უოკელი ზემო-ნათესამი უურნალ «ნობათზე», უნდა შემდეგი დავასკვნათ: ა) იგი გამოიცემის ოგიანათ, ეგრეთ წოდებულს გამომცემლობითს მხარეს უურნალისას თვით ჭაუტი და ჭირვეული კრიტიკოსიც ვერას წააუკედებს, ბ) რედაქტორული მხარე ძალიან და ძალიან სუსტია, უურნალს არა აქვს განსაზღვრული არც გზა, არც მიზანი, არც სისტემა და უფრო წააგავს უთავბოლო კრებულს, კიდრე სერიოზულ დრო-გამოშვებით გამოცემას, გ) რომ «ნობათის» საქმე სანატრელ გზაზედ დადგის, ესდანდედმა რედაქტორის უთუოთ უნდა აღვიაროს თავისი აშკარა უძლურობა და თავის სანუკარს უურნალს, რომლისთვისაც დაგვჭირდა არას დაკავებამო, მიუუწოდეს ან ეწოდო, რომელიმე მომზადებული პირი, ან მთელი წრე, შედგენილი თუნდა იმავე თანხმშრომა.

მელთაგან, რომლებიც ესლა მუშაობენ. დ) თუ ეს პირობანი არ შესრულდნენ, «ნობათის» საჭმე ისე გერ იწარმოვებს, როგორც სასურველი და სახატოელია ჩვენთვის კურძოდ და შეაძასათვის საერთოდ. *)

გ. ნასიძე.

*) ჩვენ ამ სტატიის ზოგიერთა აზრის და კრიტიკულის მსჯელობას სრულიად არ ვეთანხმებით.

ჩართველობა პველი ცხოვრების პვალი
მ. მემკაუში და სინაი მთაზე

სიტუა თქმული

პროფესორის ა. ა. ცაგარელის მიერ

პალესტინის საზოგადოების სხდომაზე 30 დეკ. 1883 წ.

თქვენო იმპერატორებით უმაღლესობაკ,
თქვენო მაღალ ურვლად უსამღვდელოესობაკ,
მოწყალეო ხელმწიფენო!

საქრისტიანო აღმოსავლეთის მკელ სალხთა შორის, რო-
მელთაც ადრე შეუმუშავებით მოქალაჭობა, შეუთვისებით ქრის-
ტიანობრივი კულტურა და საუცხოვთა განმავლობაში მამაცუ-
რად დაუცავთ თავიანთი ეკლესია, თავიანთი დამოუკიდებლობა
და ეროვნება, — ქართველებიც ირიცხებიან.

ქრისტიანობის მიღებიდგანვე ბიზანტიისაგან მეოთხე სა-
უცხოს დამდეგს, თითქმის ერთ დროს ქრისტიანობის სახელ-
მწიფო სარწმუნოებად აღიარებისათანავე თვითონ ბიზანტიის
იმპერიაშიაც კონსტანტინე დიდის მეფობაში, — საქართველოს
მეფე და ხალხი მართლმადიდებელ მკლევიდის მუდამ ერთგულ-
ნი შვილნი იუვნენ და აღმოსავლეთზე ქრისტეს ეკკლესიის დაც-
ვის საქმეში ბიზანტიის უცხალებელ მოქავშირებად ირიცხებო-
დენ. მაშინ როდესაც აღმოსავლეთის უაღრესი საქრისტიანო

სამეფოები ეცემოდენ მაჭიმადიან და არა მაჭიმადიან ურდოთა კვე-
ობით: ამ გვარად დაეცა ძევლი სასომხეთოსა და საშუალ სა-
უბუნო სომეხ-კილიკიის სამეფო, დაეცენ ჯვაროსანთა მიერ
დაუუმნებული საკართლოები და სამეფოები, დაეცა, ბოლოს,
თვითონ ბიზანტიან, დაჭირება თა უფრო ადრე თავის აზისა
და აფრიკის სამფლობელოები; — პატარა საქართველო ჯერ კი-
დევ მტკიცეთ იყო, მამაცურად იბრძოდა და წმიატონობდა
ქრისტის ეკკლესიას არა თუ შინ, არამედ წმ. ქვეყანაშიაც
თითქმის მცხოვარებული საუკუნის დასაწყისამდე. მაგრამ, უგანასა-
კნელ, ისიც დაუძლეურდა საქრისტიანო ეკკლესიასა და კულტუ-
რის მტერთა კვეთებით, რომელთაც ხანგრძლივად ჰქონდათ
ჩატვირტებული ხელში არა თუ სრულიად წინა აზია, არამედ ეპ-
რობის ნაწილიც და თუ ამ დროს დიდი მართლმადიდებელ
სამცურობელოს, ისტორიის სცენაზე ბიზანტიის მოადგილეს
არ გაეწოდებინა ერთ-მორწმუნე საქართველოისათვის თავის
მმური შემწეობის ძლიერი ხელი, ძნელი წარმოსადგენი არ არის,
რა მოელოდა მას ახლო მომავალში... ამ ათას წლოვან უთა-
საბრო პრძლაში ქრისტის ჯვარისათვის ამტკიცებდა და ამხნე-
კებდა შედარებით ამ პატარა ხალხს არა ერთი მისი მტრების-
განაც კი შეწინარებული სიმბოცე და სამხედრო ნიჭიერება, არა
ერთი მისთ მთებისაგან დაცულ შეუწის გეოგრაფიული მდება-
რებას, არამედ, უმთავრესად, ის წმიდა და ამაღლებული გრძნო-
ბა, რომელიც ეუფლების ქრის ხუფსა და გულსა, კეშმარიტად
, „მრავს ‘მთებს’“ და სასწაულებს ჩადის: — ეს არის სარწმუ-
ნოება! სარწმუნოება; რომელსაც ზეგარდო ნიჭით დაუსახუჭ-
რება და დიდი მოღვაწეობისათვის აღუძრავს ისტორიაში არა
ერთი ხალხი, პატარა საქართველოსაც უზიარებდა იმ სულის
ძალას, სიმტკიცეს და სიმაღლეს, რომელიც მუსრის აკლება-

დენ მის მტრების უოკელ გვეორებას. სარწმუნოებაში და პლა-
სიაში ქართველისათვის უკეთებელი იყო შეირთებული. ორგორც
ახლაა აღმოსავლეთზე: სამშობლო ენაც, დამოუკიდებლობაც,
ეროვნულაც. ერთი სიტუაცით ეკვლესისა და სარწმუნოების, სკი
იგივე საფსის სკი იყო. ამ სარწმუნოებისა და ეკვლესისათვის
აღთქმულს, რაინდულს, ერთგულებას ამტკიცებს ის საქართვე-
ლოს საქართველოს ძეგლი ნივთების მრავალი საშობა, რო-
მელნიც ახლაც არიან მოუფენილნა დიდ-ძალ სიგრცეზე არაუ-
თვითონ საქართველოში, არამედ მის სამზღვირების გარეთაც.

ქართველები ცამრებისა და მონასტრების რომ აშენებდენ
წმ. ქვეუნისა და ბიზანტიის სსკა-და-სსკა ადგილებში და მათ
შორის უოკელ-ხარად ხელი უწევობდენ, ამით რასაცვირებე-
ლა, უოკელის უწინარეს იგმაჟოვილებდენ გეორგი-მსახური ქრის-
ტიანის შინაგან მოთხოვნილებას, მაგრამ მასთანავე ამ უნდაბებს
სსკა დანიშნულებაც ჭრანდათ: იგინი უნდა უოფილიურნენ თაგ-შესა-
იყარად იმ შირთათვის, რომელთაც სურდათ თავი შეეწირათ ბერულ
მოღვაწეობისათვის, უცხოთ შემწენაუბელ სახლებად წმ. ქმედიაში
გეთილ-მსახურ თაყვენის-მცემელთათვის, მას გარდა უნდა გაეწიათ
საელჩოების სამსახური იმ განუორებულ აღაგებში თანა მემამულებია
თნტერესების დასაცემად უცხო სარწმუნოებისა და უცხო ტომის
ხალხთაგან და, უკანასკნელ, — ეს უმოავრესია მეცნიერებისა და მწიგ-
ნობრობის მხრით, — ისინი იყვნენ მწერლობითი მოღვაწეობის
შეაგული და სასულიერო-ზნეობითი განათლების დამნერგველნი,
ასე რომ იმ დროს ჩვენი სკოლების, წიგნთ-საცავებისა და მუზეუმე-
ბის მაგიერობას შვრებოდენ. ამ გვარად ქართველთა ანტიოქიისა,
შალესტინის, სინასი და ათონის მონასტრები საუაღრესონი
არიან საქართველოს ისტორიისა და საქრისტიანო აღმოსავ-
ლეთისათვის არა თუ ორგორც სასულიერო-სარწმუნოებრივი

ცხოვრების შეაგული, არამედ როგორც იმისთანა აღაგები, სა-
დაც საუკუნეთა განმავლობაში კითარდებოდა სასულიერო
მწიგნობრობა და სელოვნება. აი ეს უგნიასკნელი გარემოება
ჭირდა საზოგადოებას მსედველობაში, როდესაც თავის უაგრძე-
ლოესის თავსმჯდომარის ჩვენებით, პირველად უურადღება მი-
აქცია, რათა ცნობაში მოუყვანა და გამოუყვლია ქართველთა წმ.
ქვეყანაში წასრული მწიგნობრულისა და სელოვნური მოღვაწეო-
ბის ნამთები, მისთანები, რომელიც გადარჩენილან დოკთა-
ვითარებას, სტიქიონსა და ბარბაროსობას.

ამ წლის იანვრის შირველ რიცხვებში შეტერბულგიდამ გა-
მოვეგი და ყინკებისაგან ღდესაში დაგვიანებული, მსოლოდ
1 ფეხერგალს მიკედი ალექსანდრიას. ორი დღის შემდეგ რკი-
ნის გზით გავემგზავრე ალექსანდრიიდამ შირ-და-პირ სუეზის-
კენ, სადამაც იწყება მოგზაურობა საკუთრად სინასკენ. სუე-
ზიდამ შესაძლებულია სინას მიღწევა ორი გზით; ხმელეთით
უდაბნოდ აქლემებით, რასაც უნდება 6-დამ 8 დღემდე, და
ზღვით თორამდე, ძველ რაიონამდე, სადამაც სამი დღის გან-
მავლობაში შეიძლება ხმელეთით სინას მისვლა. რადგანაც ში-
შიანობა იურ, ინგლის-ეგვიპტისაგან ატესილი მღელვარება სი-
ნას სასეპარ-კუნძულის მცხოვრებ ბედუინებს შორის ჯერ არ
იყო მრთლად მიმცხრალი, ამიტომაც ზღვით მიოჩიეს მგზავ-
რობა. მე გამოვედი ეგვიპტის ქვედივის კამპანიის ცემით, რო-
მელსაც ჯარები გადაუკვდა სუდანს, სუეზიდამ საღამოს 5 საათს,
ხოლო მეორე დღის 9 საათზე უკუმ რაითაში ვიუვი. აქ საა-
მოვნებით მიმიღეს სინაის არსიეპისკოპოსის კაფისტრატე შემ,
რომელიც ზამთარს ჩვეულებრივად რაითაში ატარებს, და რუ-
სეთის საელჩოს აგენტმა მართლ-შადიდებულმა არაბმა ანსერმა;
ბინად ჰატარა კარგი ასაღი სახლი მომცეს, აშენებული სწო-

რედ მეწამულის ზღვის ნაპირს, სხვათა შორის, რუსეთის პი-ლიგრიმების საშუალებითაც. მეორე დღესკე განვაცხადე სინას-კნ გამგზავრების სურვილი, კსონების სამღვდელოთ სადგურის ეკონომის დაქირავებინა ჩემთვის აქლემები, ხოლო დღის და-ნარჩენი ნაწილი შევსწირე სამღვდელოთ სადგურის ახალი ეჭ-გლესისა და მონასტრის დიდი ბზა-ნარის დათვალიერებას; უნახველი არ დაკტორები მისი თბილი მადნის წყლები, რომელ-ნიც ერთი საათის სავალზე იმურილებიან რაითიდამ და მოსეს წყაროებად იწოდებიან. მოსე (არაბულად მუსა) წინასწარმეტ-ებულს მაჭმადიანებიც დიდ პატივსა სცემენ: სინას ნახევარ-ჯენ-მულზე და პალესტინაში ხშირად შეგნედებათ: აინ მუსა ემოსეს წყარო, ჯებელ მუსა ემოსეს მთა, ჯამი მუსა ემოსეს მეჩეთია და სხვ. ქრისტიანობის მატიანებში ძველი და დიდებული რაითი-დამ ახლა დარჩენილია მხოლოდ ღარძი მაჭმადიანთა სოფელი.

როდესაც მეორე დღეს, 7 თებერვალს, ორი ბედუინის, ერთი მართლმადიდებელი არაბის, ჩეგნი საელჩო აგენტის შვი-ლისა და ერთის ბერძნის, მონასტრის მწირის წინ გაძლილით გამოკედი რაითიდამ, დილის 10 საათზე რეომიურის ტერმო-მეტრით 17° სითბო იდგა. აქედამ ორი გზა არის სინასკენ: ჩრდილოეთით რაითიდამ უადი სებრანით და აღმოსავლეთით უადი ისლით. ეს უკანასკნელი თუმც უფრო ცუდია, მაგრამ უფრო მოკლე კია, განსხვავდა მაინც სამი საათია. ჩეგნ ტუ-უკანასკნელით წავედით. შვიდი საათის სიარულის შემდეგ სწო-რე ქვიშიან უდაბნოდ მეწამული ზღვა ამოგებარა და ისლის კიწრო ხეობაში შეკვეთი, ხეობად შესვლისა თანავე შეკნიშნე მარჯვენა მსარეს ბნელ დიორიტის კლდეზე ნამდვილი აქლემია-ნი გაცების სურათები, გამოკვეთილი კლდეზე, რომელიც ჰე-რეთ განურკვეყნელის წარწერებით არის აქრელებული; ამ გვარი-

წერილები ბევრისაგან ბევრია სინის ნასევარ-კუნძულზე, მაგრამ მეცნიერებს ჯერ სოულიად არ გამოუკვეთათ. ამ აქლემებს ზედ მსხდომ კაცებთან ერთად შირი სინისკენ აჭისთ მიქცეული. კუთვნიან თუ არა ეს ნასატები ჭრისტიანობის უწინარეს დროს, ჭრისტიანობისას, თუ მაყმადიანობისას—არა ჩანს; ეს კი ცხა-დად შეინიშნება, რომ წაწერილობისა და ნასატების დანიშნულე-ბა უოფილა, სხვათა შორის, ჭარავნებისა და პილიგრიმებისა-ოვის ეხვენებინათ გზა არაბეთის ნასევარ-კუნძულზედ. გზა, ანუ საკუთრად ბილიკი ხეობაში ურიცო არ არის, ამისთანა გზე-ბი, მაგალითად გაკვასიოს მოებში ბევრია; ფეხით სიარული მოვისდებათ სულ სუთსა თუ ეჭვსს საათს სამი დღის საკალ მანძილზედ; დანარჩენ დროს უშიშრად შეიძლება აქლემით საა-რული ჩამოუსდომლად. ისლის სულბაში წყალი ბლობად არის: წყაროები გარშემო არა მდიდრულად გაშლილის მწვანეთი სამი ოთხი საათის საკალზე ერთსულ მაინც შეგსვდებათ, ზაფხუ-ლობით მომეტებული მათი ნაწილი შეიქნა, მაგრამ 6 ოუ 7 საათის საკალზე შეიძლება წყალს ზაფხულობითაც შესვდეთ, მცენარეთაგან აქ იშვიება: ბზა, მანანა, უსუპი, ლელი, სხვა-და-სხვა გვარი ერთობ სურნელოვანი მემკები, ჭაცი და აქლე-მის ბალახი. ნადირთაგან აქ შესვდებით სინაუკი ანუ კლდის თხებს (*Capra Sinaitica*). მესამე დღეს დიღის 10 საათი იქნებოდა, ავემართეთ მაღალ გაეკ-გორჩის და მკეთრმა ცისმა ჩრდილოეთის ჭარბა დაბერა, სოლო შემდეგ როის საათის გან-მაგალიბაში გამოჩნდა ღვთის მთა ჭორიბი თავის მძაფრი და-დებით, სამსრეთ-აღმოსავლეთის მსრიდამ, რომლითაც მიკე-დით, ჭორიბი წარმოადგენს კლდის კადელს შირ-დაპირ დაშე-ბულს და ძლიერ შთაბეჭდილებას ასდენს აღამიანზე თავის ბუნ-დოვან და იდუმალ შესასედაობით. საღამოის სუთი საათი იქნე-

ბოდა მონასტრის გადავანთან ორმ მიკედით. მონასტრის შესავალ ზემოდ, შეკნის ბერძნული წარწერა, ორმელიც გვიამბობს, ორმ მონასტერი აუშენებია ბიზანტიის, იმპერატორის იუსტინიანეს მემმეს საუკუნეში. სანას მონასტერი, ორმელიაც გარს ავლია მაღალი ხაჭაპის გადავანი, სიგრძით 30-სა და სიგანით 30 საუკნის მექონი, მდებარებს შეკიბის ხეობაში ქორიბისა და წმ. ეპისტომიის მოას შორის, ზღვის დონედამ 5,000 ფუტ. უმეტეს სიმაღლეზე. ჩრდილოეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ეს ხეობა გაშლილია, საიდამაც ჭრიან ხან ერთს, ხან მეორე მხარეს მუდამ ქარები ზამთრობითა და ზაფხულობით. ბაზილიკურის სახის საკრებულო უკავესიას, ორმელსაც ამჯობს შესანიშნავი იუსტინიანის დროინდელი სართო, წარმომადგენელი ეუფლის ფერის-ცვალებისა, როგორც ჭრიანით, იმპერატორი იუსტინიანისა და იმპერატორია თეოდორას სურათებითურთ, გარს აოტენა 9 დიდი და 15 პატარა ეკკლესია; თავის მხრით ესენი ეკკლესია სიდიდით ნაირ-ნაირ და არხისტორიულით სხვა-და-სხვა ხასიათის შენობებს, ორმელთაც აქვთ ბეჭლი დერეზნები, მაღლი შესავალები და საოდაფები, სადაც, უსაფუძლო არ იქნება ვიგულოთ, ორმ აღმოსანდება გიდევ არა მცირე ძვირფასი მწიგნობრული და ხელოვნური საუნჯე. მონასტერის აქვს გარგი წყალი და ხილნარი ბაღი. მონასტერი ზოგად საცხოვრებელია (კანკიალური), იქ ცხოვრებს 23 ბერი ბერძენი და ერთი რუსი. ეკკლესიერად და აღმინისტრატორიურად სინას მონასტერის მართავს არხიეპისკოპოსი, ორმელიც ჭავტად დამოკიდებულია აღმოსავლეთის პატრიარქისაგან.

მეორე დღეს წმ. ეკატერინის გვამს ორმ გემთხვიერ და თაუკანი ვეცით დაუწეველი მაუკლოვანის ადგილს, ორმელიც თით-

ქმის საკურებულო კეკლესის საკურთხევლის შემ იმურობა და სადაც ჩემი საკურთხევლი გადასცილდა მედიან, დავთვალიერებ მონასტრის ძეგლი ნივთები და მისი სამწიგნობრო საუნჯენი. ბერძნულ სელთ-ნაწერების ცნობილ ბიბლიოთეკას გარდა, რომელსაც დიდი სანი არ არის ჭირდა რევლი ეგვიპტური სასელა წოდება «სულის საკურნებული» (იატრიონ ტაბასი) და პირკულად წესიერება მისცა და კატალოგი შეუდგინა მ. არხიმანდრიტმა ანტონიმა, სელთ-ნაწერები და ძვირფასი ნივთები კიდევ შენასული აქვს მ. მოლარეს, — რომელთა შორის გახსაკუთრებით შესანიშნავდა: მეშვიდე—მეცხრე საუკუნის ბერძნული უნციალურის ოქროს მწერლობის თეოდოსის სახარება, მეთერთმეტიდგან მეცნამეტე საუკუნის ბერძნული დავითის წმ. კასიას 6 ფურცელზე, ვლაგოლიურურის მწერლობის ორი სტაური დავითის და ოციოდე საეკლესიო სამკაული ანუ კერცსლისა და ოქროს ნივთები: მას შემდეგ ითახში საარხიერებისკომისა დარბაზთან და, უგნიანებელ, სარდაფებში. საკურთხად ქართული სელთ-ნაწერები დაცულიან თუ აღაგს: პატირების დავითის და სამი სხვა მშვენიერად ნახატი უნციალური სელთ ნაწერი ინახება პატიანა ბერძ ითახში საარხიერებისკომისა დარბაზის მომიჯნავთ, დანარჩენი საწილი სარდაფშია, სადაც მომისდა მათი გამოიჩინა აბდისინურ, არაბულ და სომხურ სელთ-ნაწერთათავან. მროვლად ქართული სელთ-ნაწერები, რომელთაც კატალოგი მაქვს შედგენილი, 88 არის; ერთი მათგანი მემკვე და მეშვიდე საუკუნის პატირების დავითია, 63 კურატისა მერვე საუკუნიდამ დაწყებული. უკედა სასულიერო შინაარსისა: საღვთო წერილი, საეკლესიო ლკოსი მსასურება, მდმარ ქინილებანი და სისოდინები, სადაც აღნიშნულ არიან ქართველ პირებიმთა და მონასტრის სახარებლოდ შემწირებულთა სახე-

დები და წოდებანი. მათ შორის არის მდიდრული ექვემდებარები მწერლობითა და ხელოვნური ქმნილებით, შემცულნი ფერადი ინიციალებით, შიგ ჩართულ უკავილებითა და ბიზანტიის მინიატიურული ხელოვნების საუკეთესო დროის მინიატიურებით. მას გარდა აქელებულსი არიან იგინი გადამწერლება და ჰილიგინიმითა მიწერილობით, რომელნიც ძვირფასნი არიან საქართველოს პალესტინასა და სინასთან საუკუნეთა განძავალობაში მისვლა-მოსვლის ისტორიისათვის. ამ ხელთნაწერების უმეტესი ნაწილი დაწერილია სინაზე, დანარჩენები მიტანილია პალესტინიდან, ათონიდან და სხვა აღაგებიდგინ. სინას ბერძნული პატერიკით ვიცით, რომ მექედე თუ მეშეიდე საუკუნეში სინაზე ცხოვრებდა ორი ქართველი ბერი მისამლი და ეკსტათე; ამ ჭრთულ ხელთ-საწერთაგან ყსჩანს, რომ მეათედგან მეცნმეტე საუკუნოებში სინაზე იღვწოდა ქართველთა ძმობა: ზოგიერთი მის წევრთაგანნი იუკუნ მოლაცები და მასასურის წინამდგრები; მათ ეკუთვნოდათ თრი პატარა ეკვდესითვითონ მონასტერებში: წმ. სტეფანესი და წმ. გიორგის კლესიები. ეს ეკლესიები ახლაც არსებობენ, მხოლოდ არა თათონ იმ ადგილებზე: ერთ მათგანში, 60 წლის წინათ, ადგის თოვლით მოკედა ბერი და ამის გამო გაუკემებიათ, მეორე კი 50 წლის წანად, სიძეელის გამო დანგრეული და გადმოუწერიათ სხვა ადგილს. ერთ მათგანში, 50 წლებში, უკვლებ უსამღდელოებას, შორივის უნასავეს წმ. გიორგის ხატი საქართველოს აგრძელოვნითაგანის მეფის სურათითურთ, მაგრამ ეს სატე მეტარ კიბოვე სინაზე, კნასე მხოლოდ ამ ხატის შირი მისურვლად უსამღდელოებისას, - კნასე სამი პატარა სურათიც, რომელიც სასული არიან სინაზე და წარმოადგენენ წმ. გონისტანტინებს, წმ. იოანეს (მეტალავრეს?) და წმ. ალექსი ცოდის გაცს,

ჩასატნი არის ზეთით ნალესი საღებავით ერთ მოგრძო ფიცატჩე და მორთულნი ქართული წარწერებით. უოკლად უსამ-ღებელოესმა პორფირმან დიდი ხანი არ არის საკანგებოდ გა-მოგზავნა მოსკოვიდამ ამ სურათების პირები თავის შენიშვნი-თური, და ოამდენიმე ქართული წარწერები მის მიერ აღმოსავ-ლეთზე შეკრებილნი, — იგინი ჩაერთვიან ჩემი მოგზაურობის და-წერილებით აღწერილობაში. არ მინახავს აგრეთვე სინის მოა-ზე ქართული წარწერები ოქტოსა და გერცხლის თასებზე, ქათ-სებზე და სინისებზე, რომელიც ოცამდის მაჩვენეს, ამასობაში კი 60 წლებში იგინი უნისავს ჯერ კიდევ ნოროვს, რომელიც უოთილა სინაზე ქართველი არსიმანდრიტის გერასიმეს წინ გაძ-ლოლით და რომელიც ამბობს, რომ ზოგიერთ ამ ძვიროვას ნიკოთაგანს ჭერნდათ შემწირველ საქართველოს მეფეთა სახე-ლებით. ასე მსწრაფლად და შეუნიშვნელად ჭრება ძევლი დროების სასსორვები!

სინაზე ჩამოარი საზოგადოდ მმაფრია, ისე რომ მეცნ-დინება მონასტერებში ძალიან მნელი მოსახერსებელია, — ჩემს ის უოზნაშიც ციოლდა. თითქმის უოკელთვის ნულზე დაბლა სადას გარეთ ტერმომეტრი, ლიასებშიაც ასე იყო, რადგანაც არც შეშა იპოვება, არც ბუსარია ოთახში, კარები და სარკმლე-ბი უდად იკეტებან, იატაკები ჭიათა, და მასთანცე სამი დღის განმეობაში თოვდა და ბუქი იდგა, უკელაფერი თოთოდა და იზრობა მონასტერში, ქარი ქროდა და ზარებს რეგდა. კა ტალორ რომ შევადგინე გადავწუკიტე მაინც აღმართულ კიუპ ქრობა, რომელიც მონასტერზე 2,000 ფუტზე უფრო მაღ-ლება და რამელზედაც ალაგ-ალაგ თოვლიც აუღებელი იყო ჯერ. მე იძედი მჭონდა იქ მეპოვა კიდევ რაიმე ქართულ წმ. ილიას და ლეონიმშობლის — დავითის ნიშებში; ამათ დაფუძნებას მი-

აწერენ ქართველთა მეფეს დაკით აღმაშენებელის, რომელიც მეფობდა მეთერთშეტე საუკუნის დამლეპს და მეთორმეტეის დამდეგს.

